სამშაბათი 1919 წ. მარტის 18 № 60

წელიწადი მეხუთე

სამშაბათი 1919 წ. მარტის 18 № 60

ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

ოთხშაბათს, მარტის 19-ს, გარდახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში

ივანე პეტრეს ძის

ზაზანაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულ დათუთქულნი: ძმა გარსევანი, დები: ანნა და სოფიო, რძალი ბარბარე და ძმისწული ლოლა ზაზანაშვილები. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ.

1—2230—1

მშობლები მამა სიმონი, დედა ანასტასია და მეუღლე მარიამი მაჩაბლები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 19 მარტს გარდახდილ იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი ახალციხის ბრძოლაში დაღუპულის მათთვის დაუვიწყარ პოდპ.

ალექსანდრე (ტუკა) მაჩაბლის

სულის მოსახსენებლად. წირვა და პანაშვიდი კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიაში. წირვა 10 საათზე დაიწყება.

(1 2231—1).

ქართველ მწერალთა კავშირის საბჭო აცხადებს, რომ განსვენებულ მგოსანი ქალის

ნინო ორბელიანის

პანაშვიდები დანიშნულია ყოველ დღე ქაშვეთის ეკლესიაში, დღის 2 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

2—35—1

დამწუხრებულნი: დაი ნატალია ხორშალაძისა შვილებით: სოფიო, ნინა, ესტატე, მელო და ნადია სიძეებით—გრიგოლ ზეჟანაშვილი და კონსტანტინე ჯიქია აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

დეკანოზ იასონ სოლომონის ძე

ოქროპირიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დაბა ქარელში სამშაბათს 18 მარტს.

(1—2229—1)

ღრმად დამწუხრებულნი: შვილი თამარი, სიძე მინა მალაქიას ძე და შვილიშვილი გოგი მარუაშვილები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ს. ქარელში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი მამა, სიმამრი და პაპა

დეკანოზი იასონ სოლომონის ძე

ოქროპირიძე

დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 18 მარტს, ს. ქარელში.

1—2227—1

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: შვილი მიხეილი და რძალი მარიამ ნიკოლოზის ასული ოქროპირიძენი შვილებითურთ აუწყებენ ამით ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ს. ქარელში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი მამა, მამამთილი და პაპა

დეკანოზი იასონ სოლომონის ძე

ოქროპირიძე

დაკრძალვა დანიშნულია სამშაბათს, 18 მარტს ს. ქარელში.

პუშკინის ფოტოგრაფია

ს. ა. მიჩნიბისა

(პუშკინის ქუჩა, № 5, პასსაჟი)

ულდება სამხატვრო პორტრეტებს მცირე ზომიდა ნატურალურ სიდიდემდე,
ითით, აკვარელით და პასტელის საღებავებით აგრეთვე შავი სეპიით. მშვე-
ერად შესრულება პორტრეტებისა ძველ სურათებიდან. ფოტოგრაფია
ნდისიერად შესრულებისთვის პირობას იძლევა ფოტოგრაფია ღიაა დილის
9 საათიდან საღ. 5 საათამდე. დღესასწაულების გამოკლებით.

10—2168—8

ედუარდ კლარის ფოტოგრაფიასთან გახსნილია

ორტრეთების

გამადიდებელი

დია. პორტრეტები კეთდება ყოველ ძველ სურათებიდან, ნატურალურ სი-
დემდე როგორც შავი საღებავით ისე ტუშით. მისამართი: სასახლის ქუჩა,
№ 5, ქართული კლუბის შესავალი.

რესტორანი პარიზი რესტორანი

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

სრულიად ახლა გადაკეთებული

ცალკე მოწყობილ დარბაზებით

გაიხსნა 14 მარტიდან

მზადდება ყოველ დღე საჭმელები: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიურ კერძებით.

საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

საგანგებო ყავა-ხანა

✦✦✦ ფასები ზომიერია ✦✦✦

საამხანაგო, საზიმო სადილი-ვახშმები ფასდაკლებით.

(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

სასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25—32—1 პატივისცემით: ს. გიგიბერია და გარ. გვათუა.

თბილისის მაზრის ერობა

იწვევს სამსახურში აგრონომიულ პერსონალს:

◆ ორ რაიონის აგრონომს, ორ ინსტრუქტორს ◆

(სპეციალობა ერთისა—მებოსტნეობა-მებაღეობა, 2-სა—საქონლის მოშენება) და ხუთ მანქანების საწყობების გამგეს.

ჯამაგირი — აგრონომებს 1.100 მან., ინსტრუქტორებს — 900 მან. და საწყობების გამგეთ — 500 მან. თვეში, დღიურისა და გზის ხარჯის გარდა. დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება თბილ. მაზრის ერობის აგრონომიულ განყოფილებაში (რუსთაველის ქუჩა, № 6).

გამგეობის წევრი ლ. მამულაშვილი
მაზრის აგრონომი ი. ქურდიანი

3—34—2

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ეელახიშვილისა

დღეს, 18 მარტს, წარმოდგენილი იქნება

გეიშა

ხვალ, 19 მარტს მეხუთედ „აბესალომ და ეთერი“.

მედიცინის დოქტორი

ა. გ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) საველე ტელეფონი № 43.

60—2171—9

რ. წითელ ჯვრის საოლქო მმართველობის

სამკურნალო

ნერვიულ და სულიერად ავადმყოფთათვის, ალკოგოლიკების და ნარკომანებისთვის. ცნობებისთვის მიჰმართეთ. სამკურნალოს (ორთაჭალა ელბრუსის ქ. № 27. ტელ. 82.) ან დირექტორს ა. ბრუსემკოს მისამართით: ანასტასიას ქ. № 7, ტელეფონი 4—36.

ოზურგეთის პოლიტიკაზე

თანდათან ყველანი რწმუნდებიან, რომ ერთმანეთისაგან განირჩევიან საქართველოს განაპირები და საქართველოს ცენტრი.

სხვა ზნე და ადათი მუშაობს ამ განაპირებში,—სხვა კულტურა და სხვა რელიგია; სხვანაირია მათი ეკონომიური სახე. სხვა ეთნოგრაფიული ელემენტებიც ამ განაპირებშია თავმოყრილი. ყველა ამის გამო ეს მხარეები თავიანთის შეგნებით საქართველოს კულტურას და ქართულ ეროვნებას როდი აკუთვნებენ თავიანთ თავს. ამავე დროს კი ეს მხარეები ნამდვილი ქართული ქვეყნებია. ეს მხარეები საქართველოს ტერიტორიაა და მოსახლეობის დიდი პროცენტიც ქართველობაა. ეკონომიურადაც საქართველოს ცენტრთან არიან დაკავშირებული. ყველაფერი: ისტორიაც, სისხლი და ჩამომავლობაც, არა ქართული უმცირესობის გამოკლებით, ეკონომიური მიდრეკილებაც,—ყველაფერი, გარდა მხოლოდ ფსიხოლოგიურ მომენტისა, მარტო იმისა, რომ ისინი თავიანთ თავს ქართულ ეროვნების ორგანიულ ელემენტებად არა გრძნობენ, ერთი სიტყვით, მთელი ობიექტიური ვითარება ამ განაპირა კუთხეებს საქართველოს განუშორებელ ნაწილებად გვისახავს და წარმოგვიდგენს. აქედან წარმოსდგება საქართველოს იდეის, ან უფრო კონკრეტულად, რომ ვილაპარაკოთ, საქართველოს ცენტრის უზენაესი უფლება ამ განაპირებზე.

ამასთანავე, ყველა ეს ისეთი განაპირებია, რომ მათ გარეშე და უმათოდ ყოვლად შეუძლებელია საქართველოს ცენტრის არსებობა, წარმოუდგენელია საქართველოს სახელმწიფოობა. ამიტომაც, ჩვენი ქვეყნის რეალური პოლიტიკა, ადრე თუ გვიან, უნდა დასდგომოდა ამ განაპირა ქვეყნების პოლიტიკურ სახელმწიფოებრივი შემოსხეულობის გზას. ხოლო ამ პოლიტიკის წარმოების დროს მთავრობის ხელმძღვანელ წრეებს მხედველობიდან ერთ წუთსაც არ უნდა დაჰკარგოდათ ამ მხარეების სხვა სახეობა და თავისებურობა. საჭირო იყო თითოეულ ამ განაპირა კუთხესთან განსხვავებულის სიტყვით და საქმით მისვლა. დიდის სიფრთხილით უნდა გვეზრუნვა, რომ ცენტრიდან წაღებულ ლოზუნგებსა და მანერას ამ ქვეყნების მკვიდრთა შორის ხელოვნურად საქართველოს მტრები არ შეექმნა და არ წარმოეშვა. ყოველი საშუალება უნდა გვეხმარა, ყოველი ხერხი უნდა მოგვემარჯვა და ისეთი მოქმედება და მეთოდი გვეწარმოებინა, რომ ყველა წრის ადგილობრივი მკვიდრი ჩვენსკენ გადმოხრილიყო. ხოლო თუ ყველა რაციონალურ და კომპრომისულ საშუალების ამოწურვის შემდეგაც თუ ამ ქვეყნების შინაურს ურთიერთობაში ჩვენის მხრივ სრული ჩაურევლობის შემდეგაც, საქართველოს იდეას და სახელმწიფოებრიობას მკვიდრთა შორის მაინც მტრები აღმოუჩნდებოდნენ, მაშინ ჩვენი სახელმწიფოს მთელი ძლიერება დაუზოგველის სიმკაცრით მათთვის თავზე უნდა დაგვეტეხა. სადაც პოლიტიკა და ტაქტი ვერ გასჭრიდა, იქ ძალის პრესტიჟი უნდა გამოგვეჩინა.

ამის ნაცვლად, საქართველოს პასუხის-მგებელი ხელმძღვანელი წრეები, ყოველგან უნიფიკარულის მეთოდით და მანერით შეიჭრნენ და ამ ჭრელსა და სხვა და სხვა სახოვან განაპირებში ოზურგეთის პოლიტიკა შეიტანეს. ამ პოლიტიკის აგენტებად დაიგზავნენ სწორ-ხაზიანი და ქუთაუდრეკი პროპაგანდისტები და საქართველოს იდეის საქმეს ამ განაპირა ქვეყნებში იმ თავითვე სამარე გაეთხარა. ჩვენ მაშინათვე გავილაშქრეთ ამ ოზურგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ და დღესაც ვებრძვით მას. უფრო დიდ მიზანს და მარადიულ საგანს უნდა შევსწიროთ და ვანაცვალოთ თუნდაც დიდის ხნით, უფრო მოკლე მიზანი და წარმავალი კატეგორიები.

ასეთი მიზანი და საგანი იყო: საქართველოს მიწა-წყლის შემოკრეფა და საქართველოს სახელმწიფოს ფარგალში განაპირა ქვეყნების მოქცევა. ამ დიდი მიზნის ინტერესისათვის წინდახედულ და ფრთხილ პოლიტიკას მოვითხოვდით და ვეწინააღმდეგებოდით ისეთ ლოზუნგის გადასროლას, რომელსაც ამ ეროვნულად შემოსაძენ ქვეყნებში შეეძლო არევ-დარევა და საქართველოს საწინააღმდეგო მოძრაობა გამოეწვია. ვერც მთავრობის წარმომადგენლები და ვერც მმართველი სოციალისტების ბელადები ამ საკითხში სახელმწიფო კაცების ხარისხამდე ვერ ამაღლდნენ. ვიწრო კლასურ მძღლევარებისა და დოგმის მრჭყალებში დარჩნენ; ჩვენ ბეგების მომხრეობა გვიკიჟინეს და საქმეც მოგვარებულად ჩასთვალეს. ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის ერთი ძირითადი საკითხი კი ისევ-ისე ძველს პირობებში დასტოვეს. რაც დრო გადის ეს საკითხი მეტს სიმწვავეს იძენს და საბედისწერო ხასიათს ღებულობს.

არავის ბეგობა და სოციალდემოკრატობა აქ არც მოსატანია და არც საინტერესო. გადასაწყვეტია რთული ტაქტიკის საკითხი, რომელსაც უაღრესად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. გამოსარკვევია ის, თუ როგორ შემოვიკრიფოთ საქართველოს მიწა-წყალი, თუ რომელი მეთოდი და რომელი ლოზუნგი მიგვიყვანს ჩვენს მიზნამდე, ან სულ უმსხვერპლოთ, ან რაც შეიძლება ნაკლების მსხვერპლით.

ვინ იცის რამდენი ვნება მოგვიტანა, ან კიდევ რამდენ ვნებას მოგვიტანს სამაჰმადიანო სკოლებში სამღვთო სჯულის გაუქმების კანონი, რომლის მიღებას ასეთის სიჩქარით დაშურებით არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა! რა ზარი იარაღია საქართველოს წინააღმდეგ ეს კანონი ვინმე ფანატიკოს მაჰმადიანის ხელში? რამდენი ვნება მოგვიტანა, ან კიდევ რამდენ ვნებას მოგვიტანს ის სოციალდემოკრატიული ფანატიზმი, რომელსაც სამაჰმადიანო საქართველოში უხეშათ გარედან შეჰქონდა სოციალური არევ-დარევა. რა მიუტევებელი უგუნურებაა დასახული მიზნის ინტერესის მიხედვით. ბრძოლა, შუღლი და ბიძმტრობა დღეს იქ დასთესო და გააჩაღო, სადაც ეს თვით ადგილობრივ პირობებში ბუნებრივად ჯერ არც კი აღმოცენებულა.

როდესაც მაჰმადიან-ბეგებს, რომელთა გულში სხვა და სხვა მიზეზით, საქართველოს ეროვნული იდეა ჩაკლულია, დაემუქრები სარჩო-საბადებლი ჩამოგერთმევა და ქუჩაში დაგყრით, რა გასაკვირია, რომ იმან საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქროს და მთელი თავისი გავლენა ხალხზე ჩვენს სამტროდ მოიმარჯვოს! თუ ჩვენმა პოლიტიკამ ეს გზა არ დასტოვა და ფართო სახელმწიფოებრივად შემგუებელი მეთოდი არ იხმარა, ამ განაპირა ქვეყნებში ახალ-ახალი სირთულე და დაბრკოლებები აღმოგვიჩნდება. ამან კი შესაძლებელია მთელი საქართველოც იმსხვერპლოს.

დღეს „ოზურგეთის“ პოლიტიკას უნდა ბოლო მოეღოს და მისი ადგილი მაღალმა სახელმწიფოებრივმა მასშტაბმა დაიჭიროს.

რესპუბლიკის მძარცველები

სახელმწიფოს ქონება დღითი-დღე ილევა. ჩვენმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა არამც თუ ვერაფერი შესძინეს რესპუბლიკას, პირიქით იმისი მოვლა და პატრონობაც ვერ შესძლეს, რაც მოგვეპოვებოდა.

მთავრობის თავმჯდომარემ დამფუძნებელ კრებას მოახსენა მისდამი რწმუნებულ სამინისტროს ცხრა თვის ნამოღვაწარი და დასძინა, რომ სამინისტროები დაუღალავად მუშაობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის შესანახავად და განსამტკიცებლად, მაგრამ მინისტრ-პრეზიდენტს, ალბად, დაავიწყდა ეთქვა დამფუძნებელ კრებისათვის, რომ დამოუკიდებელ საქართველოს სამკვიდრებელი ისე არასოდეს არ ნიავდებოდა და ჰქრებოდა, როგორც უკანასკნელ სარევოლუციო ხანაში, როცა სახელმწიფოს სათავეში უკიდურესი მემარცხენენი მოექცნენ...

საშინელია ჩვენი დრო! თითქმის ყველას დაეკარგა პასუხისმგებლობის გრძნობა და აღარავის ესმის სახელმწიფოებრივი მოვალეობა და საზოგადოებრივ სამსახურის მნიშვნელობა! მდაბალ ინსტინქტებს გასაქანი მიეცა; დაუსჯელობით წაქეზებული მძარცველ-ყაჩაღები მიესივნენ რესპუბლიკის სიმდიდრეს და ხალხის ნაამაგარით ხარბად ძღებიან! საქართველოს ნარდათ და ნაწილ-ნაწილად საჯაროდ ჰყიდიან, ხოლო საშუალება არ არის ამ თავხედლობის ასალაგმავად.

„ერთობა“ ჩვეულებისამებრ ყველა ბოროტების სათავეს ძველს წყობილებაში ჰჩხრეკს, მაგრამ ის კი ვერ გაურკვევია, რომ დღევანდელ საქართველოს არავითარი კავშირი არა აქვს დამხობილ წესწყობილებასთან და სრულს სიახლეს წარმოადგენს პერსონალურადაც კი.

გარდა ამისა, რათ გვინდა ბოროტმოქმედების გენეზისის გამოაშკარავება? ქურდობა და მტაცებლობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჯერ უნახავი მასშტაბით არის გავრცელებული და ამას ბოლო უნდა მოეღოს დაუყოვნებლივ, თუ მართლა გვსურს დამოუკიდებლობის შენარჩუნება. სოციალ-დემოკრატების მიერ ახსნა-განმარტება ვერავის დაამშვიდებს. „ერთობის“ ლოღიკა ასეთია: რევოლიუციური კომისარი სახელმწიფო ქონებას იპარავს იმიტომ, რომ ძველი „პრისტავიც“ ხელ მრუდე იყო! სასურსათო დაწესებულებებში პანამა გაჩაღებული, რადგანაც თვითმპყრობელობის დროს ამავე ორგანიზაციებიდან მოხელენი უკანტროლოდ ეზი-

უკანასკნელი ცნობები

კლემანსოს განცხადებით აღმოსავლეთში მყოფი ფრანგული ჯარი მალე სამშობლოში დაბრუნდება.

ბერლინის ქუჩებში და მუშათა ცენტრებში საერთო გაფიცვის მოსაწყობად პროპაგანდა განაახლეს.

ნიკოლაევში და ჟიტომირში საბჭოთა ჯარები შევიდნენ.

გარდაიცვალა ს.რ.-დ რუსეთის ცენტრ. აღმ. კომ. თავმჯდომარე იაკობ სვერდლოვი.

დებოდნენ სანოვაგეს. „ერთობა" მაინც უსამართლოდ ეპყრობა ისტორიას ჩაბარებულ წესებს, რადგანაც ეხლანდელი სახის მტაცებლობას მაშინაც არ ქონია ადგილი.

ჩვენსა და ძველ დროის შორის ერთი თვალსაჩინო განსხვავება მაინც არის: ძველად არსებობდა განსაზღვრული დარგი სახელმწიფო, თუ საზოგადოებრივ დაწესებულებისა, სადაც აშკარა კლეპტომანები ისხდნენ და ხალხმა იცოდა წინდაწინვე, ვისთან ჰქონდა საქმე; ეხლა კი—სად არ იპარავენ?.. დაასახელეთ დაწესებულება, სადაც მექრთამეობას და ქურდობას თავი არ ეჩინოს? მიზეზი? ამაზე პასუხი „ერთობამ" გასცეს, ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს მიზეზების ძიებისა, ჩვენ აღვნიშნავთ საზიზღარ მოვლენას, სოციალისტების გამგებლობისას ,რომ უსაზღვრო მიმართულება მიიღო და ლამის შთანთქას საქართველოს არსებობა!

ისედაც უნუგეშო პირობებში სცხოვრობს ქართველი ხალხი: სპეკულიანტების თარეშობამ და საერთო ფინანსიურმა უთავბოლობამ ჰარაქათი გამოაცალა დემოკრატიასა და ინტელიგენციას და ამ უბედურებას ზედ დაერთო მთავრობის აგენტების დაუფარავი ავაზაკობა...

ჩვენ სახელმწიფო კატასტროფის წინაშე ვდგევართ! საკუთარი ხელით უფსკრულისაკენ მივაქანებთ განთავისუფლებულ საქართველოს და არავინ არის, რომ შეაჩეროს ეს დამღუპველი სვლა სახელმწიფოს განადგურებისაკენ...

რ. ინგილო.

მთავრობის წრეებში

დადგენილია:

3,000,000 მ. მთიელთა რესპუბლიკას.

მიეცეს მთიელთა კავშირის რესპუბლიკას გადაუყვეტილი სესხი 3 მილიონი მანეთი, 500,000 მან. თერგის რესპუბლიკის ბონებით, უპროცენტოდ ერთი წლის ვადით და იმ პირობით, რომ აღნიშნულ ნიშნებითვე დაბრუნებულ იქმნას ე. ი. 2 მ. 500,000 მ. ამიერ-კავკასიის ბონებით დანარჩენი კი თერგის რესპუბლიკის ბონებით.

—

სამხედრო უწყების მიერ მიცემულ ნივთების საფასური ამ თანხიდან არ უნდა გამოეკლოს. და სამხედრო სამინისტრომ ცალკე უნდა დააწესოს იმათთვის.

საფუთო გადასახადი.

გავრცელდეს ქ. ლანჩხუთზე რკინის გზით შემოზიდულ და გაზიდულ საქონელზე საფუთო გადასახადის კანონი

საგზო დღიური რკინისგზელებს.

1 მარტიდან 1919 წ. რკინის გზის მოსამსახურეთათვის დაწესებულ იქმნას შემდეგი საგზო დღიური, ხარჯების ნორმა: 1—6 კატეგ.: უბნის გარეშე—6 მან. თავის უბანში—5 მან. 7—12 კატ.: უბნის გარეშე—12 მან. თავის უბანში—6 მან. 13—14 კატ.: უბნის გარეშე—15 მ. თავის უბანში—7 მ. 50 კაპ. კატეგორიის გარეშეთ დღიური ნორმა მიეცეთ 3 მარტის კანონის მიხედვით. თუ მოსამსახურე რესპუბლიკის გარეშე იგზავნება ნორმა გადიდებულ იქმნას 50 პროც. და თუ ამიერ-კავკასიის გარეშე, მაშინ 100 პროც.

თელავის ერობისათვის.

თელავის ერობის შუამდგომლობა მათთვის 4 ვაგონ გამთბობ მასალის დათმობის შესახებ დაკმაყოფილებულ იქმნას.

საავტომობილო გარაჟი და მექანიკური სახელოსნო.

რესპუბლიკის გზა-ტკეცილების სამმართველოს საავტომობილო გარაჟი და მექანიკური სახელოსნო ჩამოერთვას ხსენებულ დაწესებულებას და გარდაიქმნას მთავრობის საავტომობილო გარაჟად და სახელოსნოდ. არსებულ მთავრობის გარაჟი, რომელიც იმყოფება ოლღას ქ. № 69 გადატანილ იქმნას ხსენებულ გარაჟში.

ამ ორგანიზაციის თანახმად შემცირებულ იქმნას არსებული შტატი.

სომხების წამოსვლა საქართველოსკენ

ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონის კომისარი ა. ლორთქიფანიძე ალავერდიდან დეპეშით იტყობინება, რომ 10 მარტს სომხეთიდან ჩამოვიდა დიდძალი ხალხი, რომელთაც სურთ საქართველოსაკენ წამოსვლა. არა აქვთ ბილეთი. როგორც მათ განაცხადეს, მიზეზი ამოდენა ხალხის უპასპორტობისა არის შემდეგი: ერევანში მისულა დეპეშა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ე. პ. გეგეჭკორის ხელმოწერილი, რომ ამის შემდეგ ნება ეძლევათ ნება დაურთველათ იმგზავრონ საქართველოსაკენ. კომისარი განკარგულებას და განმარტებას თხოულობს ამ საკითხის შესახებ.

ინგლისელები და სოჭის ოლქის საკითხი

ბაქოელ გაზეთ „ედინაია როსსია-ში" დაბეჭდილი იყო ცნობა, რომ ინგლისელთა მისიის განკარგულების გამო, სოჭის ოლქის დაცლის შესახებ დენიკინის მიერ, პროტესტი განაცხადა გენერალ ფარნშე დ-ესპერემ. ამ ჟამად, როგორც ინგლისური მისია აცხადებს, ეს ცნობა სრულებით სიმართეს არ შეეფერება.

ქრონიკა

◆ **აზერბეიჯანის მისიაში.** გავრცელებული ხმების საწინააღმდეგოდ, ვითომც ბაქოში მოხალისეთა ჯარის ნაწილები სდგებოდეს, საქართველოში არსებულ აზერბაიჯანის მისიის საინფორმაციო ბიურო აცხადებს, რომ ბაქოში ასეთი ნაწილები არ სდგება.

◆ **სტატისტიკურ განყოფილებაში.** მიწად მოქმედების სამინისტროსთან არსებულ სტატისტიკურ განყოფილების მოსამსახურეთა შტატის შემოკლება უკვე დაიწყო, ჯერჯერობით ამ მიზეზით 17 კაცი დაითხოვეს. მომავალში სამუშაოს შემცირებასთან ერთად მოხდება თანდათანობითი დათხოვნა დანარჩენ მოსამსახურეებისაც. განზრახულია მუშაობა მაისამდე დამთავრდეს, რის შემდეგაც დარჩენილ მოსამსახურეთა სრული ლიკვიდაცია მოხდება.

◆ **სომხეთის განათლების მინისტრთან.** 16 მარტს ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა წარმომადგენლებმა თბილისში მყოფი სომხეთის განათლების მინისტრი ინახულეს. დელეგაციამ სთხოვა მინისტრს—იშუამდგომლოს სომხეთის მთავრობის წინაშე მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტს. მინისტრმა მათ დახმარება აღუთქვა.

◆ **ჯამაგირების მომატება** ბეჭდვითი საქმის წევრთა საზოგადო კრებამ დაადგინა სტამბის მუშებს ჯამაგირები მოუმატონ, რომელნიც დღემდე 600 მან. ღებულობდნენ, მოემატებათ 50 პროცენტი. რომელნიც 600 მან. მეტს ღებულობდნენ თვიურად 500 მ. მოემატებათ.

◆ **საქართველოს საკონსულო ოდესაში** ოდესიდან ჩამოსულ სარწმუნო პირთა სიტყვით დენიკინის მმართველობას მოუნდომებია საქართველოს საკონსულოს გაუქმება ჩამოუხსნია საკონსულოზე ეროვნული დროშა და დაუკეტიათ. საქართველოს კონსულ უშვერიძეს დეპეშით უცნობებია პარიზში მოკავშირეთა წარმომადგენელთათვის, საიდანაც უბრძანებიათ დენიკინის მმართველობისათვის საქართველოს საკონსულო კვლავ აღედგინა. საკონსულო აღუდგენიათ.

◆ **სომხეთის სამშვიდობო დელეგაციის წასვლა.** გუშინ თბილისიდან, ერევანში წავიდნენ სომხეთ-საქართველოს სამშვიდობო კონფერენციის წევრნი ს. ხაჩატუროვი, და ხონთქარიანი. მათთან ერთად წავიდნენ თბილისში მყოფი სომხეთის პარლამენტის წევრნი.

◆ **ინგლისის კონცესია საქართველოში.** „ოდესის ლისტოკის" ცნობით ინგლისის კაპიტალისტებს ეძლევათ მონოპოლისტური კონცესია საქართველოში ნავთის მრეწველობისა.

◆ **კახეთის გზების კონცესია.** ინჟ. გ. თუმანიშვილმა, ალ. ჯაბადარმა, ნ. ანდრეევმა, იოს. დადიანმა, ნ. ჯაყელმა და დ. ჯორჯაძემ მთავრობას წარუდგინეს მოხსენება, რომელშიაც თხოულობენ კონცესიას კახეთში ელექტრონის მისავალი გზების გაყვანისას. თხოვნასთან წარდგენილია დასამტკიცებლად სააქციო საზოგადოების წესდება. კონცესიონერებს განზრახვა აქვთ ჯერ კახეთის რაიონში გააკეთონ მისავალი გზები და შემდეგ საქართველოს სხვა რაიონშიაც.

სამხატვრო ქრონიკა.

◆ **მ. ა. კოლოტოვის საოპერო სტუდიის მესამე საღამო.** მარტის გასულს კოლოტოვის საოპერო სტუდია მესამეთ ჰმართავს მუსიკალურ საღამოს. საღამო საინტერესო პროგრამით იქნება შედგენილი. დასდგამენ ნაწყვეტებს: „რიგოლეტო"-დან „ფაუსტი"-დან და „მაზეპი"-დან. დასასრულ გაიმართება საკონცერტო განყოფილება. საღამოში მონაწილეობას იღებენ კოლოტოვის ყველა მოწაფენი, რომლის უმრავლესობა ქართველობაა. მათ შორის მღერის ახალგაზდა მომღერალი ბარიტონი მ. თარხან-მოურავი.

◆ **გრიშაშვილის საღამო.** ორშაბათს, მარტის 24-ს სახელმწიფო თეატრში ი. გრიშაშვილი ჰმართავს ტრადიციულ საღამოს. პირველ განყოფილება: ივ. გომართელი: „საქართველო და მშვენიერება". მეორე განყოფილება ვასო აბაშიძის და ი. ელეფთერიძის მონაწილეობით ცაგარლის კომედია: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!" პიესას დასდგავს ალ. წუწუნავა. მესამე განყოფილება პოეტების ოჯახი: ოვ. თუმანიანი, კ. მაყაშვილი, გ. ტაბიძე, ს. აბაშელი, ვ. რუხაძე მარიჯან, თაგუნა და გრიშაშვილი, დასასრულ საკონცერტო განყოფილება: აშუღთა დასტა, ჰაზირას მეთაურობით საიათნავას, გრ. ორბელიანის და აკაკის მუხამბაზებს შეასრულებს, თარხნიშვილების ხორო იმღერებს ხალხურ სიმღერებს, ხოლო ქართულ ოპერიდან („შოთა", „აბესალომ", „თამარ ცბიერი") არიებს და დუეტებს: ქ-ნნი საბანეევა, გრახელი, შულგინა, ალასოვისა, ვ. სარაჯიშვილი და ინაშვილი.

პროვინციის ცხოვრება

ქუთაისი

12 მარტს ქუთაისში საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნის გამო რუსეთის რევოლუციის ორი წლის თავის აღსანიშნავად გაიმართა ქუთაისში მობინადრე ჯარის ალლუმი და სადღესასწაულო მიტინგი. მიტინგის შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია, რასაც საკმაო ხალხი დაესწრო.

— ქუთაისის ყველა ქუჩებში დიდი უსუფთაობაა. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს მით უმეტეს, რომ ამ ჟამად ქალაქში სხვა და სხვა სახადები მძვინვარებს.

— ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ დაადგინა: თვისი სამოქმედო რაიონი დასეროს ტელეფონის ქსელით. მაზრაში ტელეფონის გაყვანის და მისი ორგანიზაციის გეგმის შემუშავება დაევალოს გამგეობის წევრს ვ. ფალავანდიშვილს. სქემა ტელეფონის გაყვანის შესახებ ვ. ფალავანდიშვილმა უკვე შეიმუშავა. მთავარი სადგური ტელეფონის იქნება ქუთაისში. თითო მავთულით ქუთაისი იქნება შეერთებული სამტრედიასთან, ხონთან, სვირთან, ვანთან, ტყიბულთან და ბაღდათთან. მეორე ხარისხოვანი ტელეფონის სადგურები იქნება: სამტრედიაში, ხონში, ბაღდადში, სვირში, ტყიბულში და ვანში. ყველა მეორე ხარისხოვან სადგურებთან შეერთებული იქნება სოფლის საზოგადოება.

— ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ შემდეგი მოწერილობა დაუგზავნა ყველა უმაღლეს და დაბალ სასწავლებლის გამგეებს: ჩვენთან შემოდის საჩივრები, რომ მასწავლებლები თავის მოვალეობას არ ასრულებენ. ისინი თავის კერძო საქმეებს უფრო მეტ დროს ანდომებენ ვიდრე სკოლას. გაფრთხილებთ რომ ასეთი მასწავლებლები დაუყონებლივ დაითხოვონ სამსახურიდან.

შეცდომის გასწორება.

16 მარტის მეთაურის პირველ სვეტში, ქვემოდან მე-30 სტრიქონში დაბეჭდილია:

ამგვარად, რაც გვირგვინია საქართველოსი და მისი უკვდავება, თუ ის გარემოებამ დაგვადგა და მოგვანიჭა ძალად, წინააღმდეგ მიმართული პარტიისა, ვინაიდან... და სხვა და სხვა

სიტყვა „თუ" მეტია, ხოლო სიტყვა ვინაიდგან ახალი წინადადება იწყება.

გ. ლეონიძის წერილში „ნინო ორბელიანისა" (№ 59) სწერია: იგია ჩვენებ თეთრ საბარდებიან ყაბახებიდან. უნდა იყოს თეთრ ხაბარდებიან ყაბახებიდან. სწერია: სიცოცხლით მოევლინა. უნდა იყოს: სიცხელით მოევლინა და სხ.

სპარსეთი

თეირანელ გაზეთ „რაად"-ს, მოჰყავს სპარსეთის, სოუჯბულაღის რაიონში რუსთა და ოსმალთა ჯარების იქ ყო-

ჩვენი ვალიუტა

ვალიუტის საკითხი ისე მწვავედ დაისვა ჩვენი ფინანსიური პოლიტიკისათვის, რადგან აზერბაიჯანს საკუთარი ვალიუტის შექმნისა და ყოველ შემთხვევაში დამოუკიდებელი ემისიისაკენ უჭირავს თვალი, ხოლო სომხეთი, თუმცა დასთანხმდა ჩვენთან ერთად საერთო ემისიაზე, მაგრამ მაინც, ექვს გარეშეა, რომ იგი ცდილობს დააჩქაროს საკუთარ ვალიუტაზე გადასვლა და საკუთარი ვალიუტის შექმნა. სომხეთის დელეგაციის ევროპაში და კაჩაზნუნის მოგზაურობის ევროპა-ამერიკაში მუშაობას, ომისაგან გამოწვეულ სომეხთა დაზარალების [illegible] და განსაკუთრებულ კომიტეტის მიერ ამგვარი ანგარიშების შედგენას, ლტოლვილთა და გაჭირვებულთა სახელით თანხების შეკრებას და სხვა ამგვარ ცდას საფუძვლად ეროვნული ფონდის შექმნის დედა აზრი უძევს. ამერიკისა და კონსტანტინეპოლის მდიდარ სომხების მობილიზაცია და შეძლების დაგვარად საგარეო სესხის აღებაც უთუოდ კაჩაზნუნის მოგზაურობის ერთად-ერთი მიზანთაგანია.

ვსთქვათ, რომელიმე მეზობელმა სახელმწიფომ ეს ნაბიჯი მართლაც პრაქტიკულად გადადგა. როგორი იქნება შედეგი ფულის ტრიალისა ტეხნიკის მხრივ?

თუ ამ მეზობელ სახელმწიფოში, ახალი საკუთარი ვალიუტის ნიშნები მეტის ნდობით იქნა აღჭურვილი, მაშინ ცხოვრების ეკონომიურ კანონის ძალით ჩვენში საერთო ტრიალში დარჩება ეს ჩვენში მოჭრილი თუ დაბეჭდილი ბონები. მეტის ნდობით აღჭურვილ ფულს უსათუოდ გადინახვენ, როგორც პირველ ხანებში ჩვენში ნიკოლოზის ოქრო-ვერცხლის ფულსა და შემდეგ „კერენკებს" ინახავდენ. ამ ახალ ვალიუტით სახელმწიფოში შეიქნება ერთგვარი მისწრაფება, რომ ბონები, რაც შეიძლება მალე სხვაზედ გასცენ. და ბონები [illegible] და თანდათანობით ჩვენში მოიყრის თავს! და ეს მით უმეტეს, რომ საკუთარი ახალი ვალიუტის შემომღები სახელმწიფო განსაზღვრულ ვადაშიც კანონის საშუალებით თვითონ აკრძალავს თავის საკუთარ ტერიტორიაზე ჩვენში დაბეჭდილ ბონების ხმარებას, რაც დააჩქარებს ჩვენში ბონების თავმოყრის იმავე პროცესს. ეს თანდათან ძირს დასწევს ბონების ფასს, რადგან ბონების ღირებულება უკუღმა პროპორციულ განწყობილებაშია მის რიცხვთან (обратно пропорціональную ихъ численности). რასაკვირველია, მთავრობა შეამჩნევს თუ არა, მიიღებს იმგვარ ზომებსაც, რომელიც ამგვარ შემთხვევაში სახელმწიფოებს სჩვევიათ. მთავრობა ეცდება ბონების ამოწურვას, მეზობელ სახელმწიფოსადმი ბონების სათანადო კუთვნილ რიცხვის დასაფარავად და შემდეგ მის სრულიად მოსპობასაც. მაგრამ ამ ორ პერიოდის განმავლობაში ადვილად შეიძლება მთელი აქამომდე მოჭრილის ბონების რიცხვი უმნიშვნელო გამონაკლისით სულ ჩვენში დაგროვდეს, მით უმეტეს, თუ მალულად, არა ოფიციალურად, მიჩნეულმა სახელმწიფოებმა ამ მოვლენას ხელოვნურად ხელიც შეუწყეს, რაც მათ გაუადვილებს მათ ტერიტორიაზე გაბნეულ მცირეოდენ ბონების ამოკრეფას. ჩვენი ეკონომიური, თუნდაც დროებით დაზიანების საშუალებით ისინი შედარებით უკეთეს მდგომარეობაში რჩებიან, რაც გარეშე და შინაგან სესხისათვის, ვალიუტისათვის, ფულის კურსისათვის და პოლიტიკური მოსაზრებითაც შეუძლიათ გამოიყენონ.

ჩვენში ბონების ზედმეტად დაგროვება საგრძნობლად დასწევს მათ ღირებულებას ე. ი. ხელახლა გაამძვირებს ცხოვრებას, რადგან ფულის ნიშნების გამრავლებასთან ერთად არ გაიზრდება საჭირო და მოსახმარ ნივთებისა და საქონლის რაოდენობაც, ბაზარზე დარჩება ან იგივე ან და კიდევ უფრო ნაკლები საქონელი, რომელსაც დაუპირისპირდება დიდ-ძალი ახალი ბონების ზედმეტი რიცხვით გამრავლებულ ფულს არსებულ ნიშნებით მოხდება ის, რაც მოხდა რუსეთის მარკებზე. იქ გაუქმებული მარკები შემოჰქონდათ და შემოაქვთ საქართველოში გასასაღებლათ, რაც მხოლოდ ამ მოკლე ხანში შეიტყო მთავრობამ. ბონებზე კი ზომებს ვერც ისე ადვილათ იხმარ, რადგან ბონები ერთი-მეორისაგან ხომ არაფრით გაირჩევა. აქ ჩვენს ბაზარზე აზერბაიჯანიდან გამოშვებულ ბონებს მხოლოდ საერთო კანონით თუ სწვდება მთავრობა. თორემ სპეციალური განკარგულებით ვერაფერს გახდება.

ასეთი პერსპექტივის წინაშე სრულიად ბუნებრივად ისმება საკითხი, თუ სად უნდა ვეძიოთ გამოსავალი? ჩვენ წარსულ წერილებში განმეორებით მივუთითებდით მკითხველს, თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს საკუთარ ვალიუტაზე გადასვლას მის ეხლანდელ მდგომარეობაში, რომ ეს აუცილებლად საჭირო საქმეა და მეურნეობისათვის ფრიად მნიშვნელოვანი. ჩვენ აქ ვიმეორებთ, რომ საკუთარ ვალიუტის შექმნა არ გულისხმობს აუცილებლათ ფულის მასალის გამოცვლას. ჩვენ რომ კიდეც შევიძლოთ და ოქროს ფული მოვჭრათ, ის სულ რამოდენიმე თვეში გადიხვეწება უცხოეთში. ეს ასე მოუხდა რუსეთს 1887 წლიდან, როდესაც რუსული ოქროს შვიდი და ათმანეთიანი და ხუთმეტმანეთიანები სულ საფრანგეთში გადავიდა მხოლოდ მისთვის, რომ ისინი უდრიდნენ ფრანგულ ოც ფრანკიანს. ეს მოხდა იმ დროს, როცა ოქროს შედარებით ნაკლები ფასი ჰქონდა და უცხო ოქროს ფული თავის სახელმწიფოს საჭიროდ უნდებოდა. თუ შემთხვევით უცხოეთში მოხვდებოდა ხოლმე. ეხლა კი ოქრო გაორკეცებულის ენერგიით გადიხვეწებოდა საქართველოდან.

სახელმწიფოს რომ ქაღალდის ფულის ნაკარნახევი კურსის დაცვა შეუძლია, თუ მისი ეკონომიური პოლიტიკა საღი და სინამდვილესთან შეფარდებული იქნება, ეს ინგლისმა დაამტკიცა, სადაც ომების გამო თითქმის მთელი ოც და ათი (30) წლის განმავლობაში მხოლოთ ქაღალდის ფული ტრიალებდა და ოქრო სრულიათ ამოქაჩული იყო ხალხიდან (1795—1827). ეს ფაქტი ნათლათ ამტკიცებს, რომ ქაღალდის ფულის ხანგრძლივათ დატოვება შესაძლებელია თუ მას ექნება გარანტია როგორც ნივთიერი, ისე ზნეობრივ—სახელმწიფოებრივი ხასიათისა წარმოებულ პოლიტიკის სახით.

ქაღალდის ვალიუტის დატოვებით ჩვენ შედარებით უფრო ადვილათ და უმტკივნეულოთ გადავალთ საკუთარ ფულის ერთეულზე, რომელიც მაუცილებლათ შეფარდებულ უნდა იქნას იმ ქვეყნის ფულის სისტემასთან, რომელთანაც ჩვენ ხანგრძლივი ვაჭრული დამოკიდებულება გვექნება. რა სახელიც უნდა ჰქონდეს, ფარა თუ მარკით სულ ერთია, ხოლო ერთეული კი უნდა ესიტყვებოდეს მსოფლიო ბაზარზე ყველაზე უფრო განვითარებულსა და ხმარებაში გაბატონებულ ერთეულს, რომ ამით უფრო გავაადვილოთ ჩვენი ეკონომიური კავშირი უცხოეთთან.

მაგრამ ვერც საკუთარი ვალუტის დაჩქარებული შექმნით, ვერც საგარეო სესხის ბლომათ აღებით ჩვენი ფინანსიური საკითხი ვერ მოგვარდება, თუ ამ საკითხის მოგვარება სავსებით არ დადგა თავის სრულიათ ბუნებრივ ნიადაგზე. უკანასკნელის შექმნა გულისხმობს საკუთარ მრეწველობის და ეკონომიურ წარმოებათა გაფართოვება-განვითარებას და ჩვენი უცხოეთთან ვაჭრობის მეტ აქტივობას.

ახალი სახელმწიფოს მოწყობისას დიდი მნიშვნელობა აქვს უცხო სახელმწიფოთა გამოცდილებას განსაზღვრულს პირობებში. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნე ტიპიური დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი განვითარების ამ ხანისა. ორგინალობა ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა უნდა გამოიხატოს ჩვენს პირობებში საკუთარი საჭიროებისამებრ უცხოთა გამოცდილების გამოყენებაში.

სულ ტყუილი და საზიანოა მერყეობა და ექსპერიმენტები გარეშე საღი, მიზანშეწონილი ეკონომიური პოლიტიკისა. უკანასკნელი სავსებით საზღვრავს ceteris paribus ჩვენს ფინანსიურ პოლიტიკასაც.

მოსახმარ საქონლის ბაზარზე გამრავლება, მუდმივი, საჭირო საქონლის რაოდენობით უზრუნველ ყოფა ჩვენი ბაზრისა, თავიდან აცილება ფულის ნიშნების ხელოვნურათ გამრავლებისა ბაზრის მოთხოვნილების ზევით, საკუთარი ვალიუტის შემოღება საჩქაროთ და ძველი ფულის ნიშნების ხალხიდან ამოწურვის სწრაფი ტეხნიკის ამუშავება, განმტკიცება თავისუფალ ვაჭრობისა და დახმარება მრეწველობის—ეს ყველაფერი ერთდაიმავე დროს უნდა იყოს საერთო მოხაზულობა როგორც ჩვენი ეკონომიურისა ისე ფინანსიური პოლიტიკის. ერთი-მეორეს უნდა ავითარებდეს და განაასრულებდეს.

მაგრამ ნათქვამიდან სრულიათ არ გამომდინარეობს რომ ოქროსა და ვერცხლის რეზერვი უნდა გავაძლიეროთ როგორც რეზერვს, არსებულ პირობებში ხელშეუხებლათ დაცულ გარანტიას გამოცემულ ქაღალდის ფულისათვის, ძვირფას ლითონს შეუდარებელი ღირსება აქვს. ამ მხრივ არ შეგვიძლია მწუხარებით არ აღვნიშნოთ, რომ ეს ოქრო ვერ არის ჩვენს მიერ სათანადოთ დაცული. კერძო მოქალაქეთა და სავაჭრო ზოგიერთ ფირმების ხელთ მყოფი ოქრო მალულათ იზიდება სპარსეთში და საზოგადოთ უცხოეთში; რადგან იქ ჩვენი ბონები ვერ გავა, აქ ყიდულობენ ოქროს და ყიდიან „თუმანზე" სპარსეთში, რაც შედარებით დიდ მოგებას იძლევა. სპარსული ფულით უკვე ყიდულობენ იქვე საქონელს, რომელიც მოაქვთ აქ და ამით ორნაირ-სამნაირ მოგებას ჰპოულობენ. ფინანსთა სამინისტრომ მიაქცია ყურადღება ჯერჯერობით, მხოლოთ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში შემთხვევით შენახულ ოქროს ნივთებს, კერძო პირთა ხელში დარჩენილი ოქროს კი იგი ვერ მისწვდა. ჩვენი საზღვრები და საზღვარი კი არც ისე კარგათ არის დაცული, რომ მათი სრული იმედი დავიქონიოთ. მეორე გარემოებაა ოქრო-ნარევ მადნეულობის დაფარვა მესაკუთრეთა მიერ. მიღებული მიწის კანონი და მეტადრე ადგილობრივი აგენტებისა და „კომიტეტების" შიში ბევრს აჩერებს რომ მთავრობას განუცხადოს თავისი მამულის ნამდვილი ღირსება. მე გადმომცეს მადნეულობის ნატეხი, რომელსაც აშკარათ ერტყა ოქროს დიდრონი ზოლები. ინჟინერის სიტყვით ოქროს % დიდათ დიდი იყო. მესაკუთრე ვერას გზით ვერ დავიყოლიე ეთქვა: თუ სად და რომელ რაიონში ნახა ის მადანი. ასეთი შემთხვევები რამდენიმე მქონდა.

ჩვენში საჭიროა ამგვარი შემთხვევებისათვის პირიქით წაქეზება მთავრობის მხრივ. ამას ექნებოდა ფრიათ დიდი მნიშვნელობა განსაკუთრებით ჩვენს ხანაში. გაიხსენეთ მე-XVIII—XIX-ს.ს. რამდენი წამაქეზებელი ზომებია ნახმარი ოქროსა და ვერცხლის ამომჩენთათვის ინგლისისა, საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოთა მიერ.

ჩვენი ქვეყანა გეოლოგიურათ თითქმის სრულიათ არ არის შესწავლილი და კერძო პირთა ამგვარი წაქეზებით გამოწვეული დახმარება მით უმეტეს ჩვენს მდგომარეობაში ფრიათ საჭიროა.

აღმოჩენა ძვირფას მადნეულობისა და მისი დამუშავების დაწყება დიდათ გააძლიერებდა ჩვენს ოქროს რეზერვს და სრულიათ გარდაქმნიდა ვალიუტის მდგომარეობას.

ტიტე მარგველაშვილი.

ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

გაუკვირდა გაბრონს მოსულის კადნიერება. გარდახდა სამანდიდან. მისმა შინაყმამ გაუსწორ-მოუმაგრა რაშს შეკაზმულობა. შეჯდა ბუმბერაზი. გაწვრთნილმა ჰუნემ მოხდენილად გაინავარდა, ათამაშდა. მოსული შუადგილას იდგა გაჩერებული და მხოლოდ ტაიჭს აბრუნებდა დინჯად იმ მხარეს, საითკენაც უვლიდა მონავარდე. თვალი ხშირად ეჭირა მისკენ. პირველ შეტევას ხერთვისელისას ისე მარჯვედ დაჰხვდა მოსული, რომ მაყურებელთა თანაგრძნობა აღტაცებული. სცადეს ჰოროლნი. მიჰმართეს საგდებელს. წააყარეს ერთმანეთს ისარნი. ხმლები შეალეს ერთმანეთს გადაალეწეს. ლახტით მოუხდნენ ურთიერთს. ლახტთა ცემა შეშველებულ ფარზედ ჭექის ხმად გაისმოდა ასპარეზიდან. იმაზედ იყო ეხლა საქმე მიმდგარი, ვისი ფარი მეტს აიტანდა ან რომელი მკლავი ადრე დაიღლებოდა, მოსწყდებოდა. გაწვრთნილნი ტაიჭნი მხედართა მცირეოდენ ნიშანთ ემორჩილებოდნენ. გატაცებულ ბრძოლის დროს მოსულმა რაინდმა ოდნავ ქვემოთ მისცა მოქნეულ ლახტს ფარი. მძლავრად დაშვებული იარაღი დასხლტა ფარზედ, დახარა ძირს მებრძოლის მკლავი; ბუმბერაზიც ოდნავ გადიზნიქა გვერდზედ: ვეღარ შეიმაგრა თავი. მანამ გასწორდა უნაგირზედ, მას რკინის სალტეებ-

დროს მომხდარ ზარალის აღრი- ა.

უსის ჯარს არა ნაკლებ 53 მილი- ნ ზარალი მიუყენებია. მიდამოები ამწვარია და აოხრებულია. დახო- თა რიცხვი 31 ათასამდეა. ამას და რუსის ჯარის მიერ წაყვანილი ახამდე ტყვეა, აქედან მცირე ნა- ილი დაბრუნდა სამშობლოში. მალეთის ჯარების მიერ დახოცი- 825 სულია. ბევრი სიცივისაგან სიმშილისაგან დაიხოცა. ურმუდ- და ხალხალის რაიონებში ზარა- თითქმის აუნაზღაურებელია. ერთი ყვით სპარსეთს მსოფლიო ომში დესი ზარალი მიადგა.

სომხეთი

სომხეთის ბედიღბალი.

ოგორც სტამბოლელი გაზეთი ლვორდი" იტყობინება, ინგლისი იოზულად მოჰკიდებია სომხეთის ნების საკითხს. ამ მიზნით დაუარ- იათ საგანგებო კომიტეტი. ამბობენ ექტის მიზანია უცხოეთის მყოფი ხობა სამშობლოში დააბრუნოს, რის ახორციელებლადაც სომხებს წაე- მევათ მოქალაქობრივი უფლებები, აც ამ ჟამად სომხები ჰსცხოვრო- ბ.

სომხეთის რკინის გზა.

ამ დღეებში თბილისში ჩამოვა ამე- კელი ინჟინერები, რომელნიც ამე- კის მთავრობის დავალებით უნდა ადგინონ რკინის გზების პროექტი ლფიდან ხმელთა შუა ზღვის ნავთ- გურებამდე მათვე აქვთ მინდობი- სომხეთის ვილაეთების რკინის ის პროექტიც.

ხორბალი სომხეთისთვის.

სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ტისოვი იტყობინება რომ სომხეთში დინარე წელს შემოტანილია სურ- თი ხორბალი 22 ვაგონი, 14 ვაგონი ილი, 10 ვაგონი ბრინჯი, მაზუთი ცისტერნი და სხ.

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის პარლამენტი.

აზერბაიჯანის პარლამენტის კანცე- არია აცხადებს, რომ ყველა თურ- ულ სახელმწიფოებრივ და საზოგა- ოებრივ ორგანიზაციებმა აგრეთვე ერძო პირებმა ყოველგვარი წერილო- თი მიმართვა უნდა აწარმოონ სა- ელმწიფო ენაზე. ის მოწმობები, რო- ლიც დაწერილი იქნება უცხო ენებ- არ გაარჩევენ.

მთიელნი მოხალისეთა წინააღმდეგ.

მთიელთა ყრილობაზე, რომელიც მეჩეთ თაზა-პირში შედგა, მთიელთა დიპლომატიურ წარმომადგენელის კანტემირის მოხსენების შემდეგ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია: „მთიელთა მუშებმა, ბაქოს რაიონის მომუშავეთ, კრების შემდეგ მოისმინეს რა მოხალისეთა არმიის მოქმედება, მთიელთა რესპუბლიკის თავისუფლების წინააღმდეგ, დაადგინეს: 1) გამოეცხადოს პროტესტი მოხალისეთა არმიას მის ძალო-მომრეობის გამო და ეთხოვოს მოკავშირეთა წარმომადგენლებს მთიელთა ტერიტორიიდან გაიყვანონ მოხალისეთა რაზმები; 2) მიემართოს აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხების მუშებს და გლეხებს გამოეხმაურონ მთიელთა ხალხის თავისუფლების განმტკიცებაში; 3) მთიელთა მთავრობამ მტკიცე ზომები მიიღოს მოხალისეთა, დენიკინის და ლიახოვის რაზმების წინააღმდეგ, რომელნიც ემუქრებიან მუშათა და გლეხთა კლასის ინტერესების დარღვევას, 4) მიემართოს მოწოდებით ბერძნის მუშათა კონფერენციას, 5) გაიგზავნოს კრების სახელით დელეგაცია გენერალ ტომსონთან".

საქარ. დამფ. კრების საპასუხო დეპეშები უცხო სახელმწიფოებს

სომხეთის საბჭოს თავმჯდომარეს

საქართველოს დამფუძნებელი კრება მადლობას უძღვნის სომხეთის საბჭოს მისალმებისათვის და რწმენას გამოსთქვამს, რომ ის, როგორც სრულუფლებიანი წარმომადგენელი ქართველი დემოკრატიისა, რომელსაც მაღლა უჭირავს დროშა თავისუფლებისა და ხალხთა შორის სოლიდარობის, ყოველთვის იდგომება დემოკრატიისა და ეროვნებათა უმცირესობის ინტერესების დარაჯად. კრება დარწმუნებულია, რომ ეროვნებათა უმცირესობანიც მოეხმარებიან მათ მოპოვებულ თავისუფლების განმტკიცებისათვის.

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის მაგიერ. ა. ლომთათიძე.

სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე

საქართველოს დამფუძნებელი კრება მადლობას უძღვნის სომხეთის მთავრობას მისდამი გამოთქმულ სურვილებისათვის. ის მწუხარებით აღნიშნავს სომხეთ-ქართველთა შორის მომხდარ ომს, რომელმაც შავი სტრიქონები ჩასწერა სომეხ-ქართველთა მეგობრულ დამოკიდებულების ისტორიაში. ღრმად დარწმუნებულია, რომ ამ ფაქტმა სამუდამოდ დაარწმუნა ორივე რესპუბლიკის დემოკრატია, რომ იმათი ბედნიერება ერთობა-ძმობაშია: კრება დარწმუნებულია ამიერ-კავკასიის მეზობელ რესპუბლიკათა მთავრობანი გამონახავენ საერთო ენას ყოველ საკითხის გადასაწყვეტად.

თუ სომხეთი და საქართველო მეგობრულად იცხოვრებენ ამიერ-კავკასიის ერთა შორის მუდმივ ომისა და უთანხმოების დროს, მით უმეტეს მტკიცე უნდა იქმნეს ეს მეგობრობა ახლა საერთაშორისო დემოკრატიის გამარჯვების ხანაში.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ა. ლომთათიძე.

აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარეს.

საქართველოს დამფუძნებელი კრება ღრმეს მადლობას უცხადებს აზერბაიჯანის პარლამენტს მისდამი გამოთქმულ გრძნობებისათვის და თავისდათავად მხურვალე სალამს უძღვნის. დამფუძნებელი კრება გამოსთქვამს რა ქართველ დემოკრატიის სურვილს, რომელსაც დაუხატავს თავის დროშაზე ყველა ხალხის ძმობა-ერთობის იდეას, რომელიც მოწვეულია ის, რომ მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს თავისუფალ და დამოუკიდებელ რესპუბლიკას, რომელიც გამოხატავს საფუძველს ამიერ-კავკასიის მეზობლურ ცხოვრების, იმედი აქვს კიდევ უფრო განამტკიცოს არსებული მეგობრული განწყობილება აზერბაიჯანის ხალხთან.

ამასთანავე ის ხედავს თავდებს ორივე მეზობელ სახელმწიფოთა აყვავებისა და აღდგენისას. დამფუძნებელი კრება იქმნება დემოკრატიის სურვილების გამომხატველი სხვა მეზობელ რესპუბლიკათა და ის დარწმუნებულია, რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა და მის სამშობლოს შინაურ საქმეებში სხვა გარეშე ძალა არ ჩაერევა.

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგი ა. ლომთათიძე.

საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპეშა პარიზში დელეგაციას დამფუძნებელი კრების აქტის შესახებ.

საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა პარიზში მყოფ დელეგაციას ჩხეიძეს და წერეთელს რადიოთი შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

„1919 წლის 12 მარტს დღის 12 საათზე დიდი დღესასწაულით გაიხსნა საქართველოს დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელ კრებამ მთლიანად მიიღო და დაამტკიცა 1918 წლის 26 მაისის აქტი საქართველოს დამოუკიდებლობაზე აქტის ძირითადი დებულებანი. ამიერიდან ერი ქართველი მატარებელია სუვერენულ უფლებათა და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკურ წყობილების ფორმად აღიარებულია დემოკრატიული რესპუბლიკა. საერთაშორისო ომიანობის დროს საქართველო მუდმივად ნეიტრალია.

საგარეო საქმეთა მინისტრი
ე. გეგეჭკორი.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

16 მარტი

ფრანგული პრესა

გენ. მარლეტერმის ლექცია.

გენერალ მარლეტერმა ლიეჟის კონსერვატორიის დარბაზში წაიკითხა ლექცია, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. ორატორმა გაიხსენა მარნისა და ვერდენის ბრძოლები. ხალხმა ტაშით დააჯილდოვა ორატორი, როცა მან მოიგონა საფრანგეთის მსხვერპლი და ახსენა მარშალი ფოში, მარშალი პეტენი და ბელგიის მეფე, ორატორმა ლექცია დაასრულა სიტყვებით: „გაუმარჯოს ბელგიას", ხალხმა ხანგრძლივი ოვაციები გაუმართა გენერალს და უპასუხა „გაუმარჯოს საფრანგეთს".

გერმანული პრესა

საქსონია და ჩეხია.

საქსონიის პალატაში მარტის 13 მინისტრმა გრანდაუერმა განაცხადა, რომ დამოუკიდებლობა საქსონიასა და ჩეხიას შორის ისევ გამოურკვეველია; საქსონიის სანაპირო რაზმები გაძლიერებულია, რათა მოიგერიონ ჩეხები, თუ ისინი განიზრახავენ საზღვრების გადმოლახვას.

საზავო მოლაპარაკებისთვის.

საზოგადოებრივი აზრი საზავო პირობებს სასტიკ კრიტიკას უწევს. როგორც კი შეიტყეს, რომ საზავო მოლაპარაკება მალე დაიწყება, ხალხის ყურადღება შინაურ უთანხმოების მაგიერ საგარეო პოლიტიკის საკითხებმა მიიპყრო. ენერგიითა და ცოცხალი ძალებით აღსავსე ერს სწყურია ვილსონის პროგრამის 14 პუნქტის განხორციელება, რითაც გერმანიის დემოკრატიას საშუალება მიეცემა ახალი წყობილება განავითაროს. დემოკრატიული პარლამენტარული ორგანიზაციები ავრცელებენ ფურცლებს, რომელშიაც ნათქვამია, მომავალმა ზავმა უნდა შექმნას ახალი ხანა, არა ხოცვა-ჟლეტისა და ძალადობის ხანა, არამედ ჭეშმარიტის ზავის და მშვიდობიანობისა. ხალხებს თანამშრომლობა და თანასწორობა სურს. ხალხი აღარ დაუშვებს მას, რომ იყოლიოს ისეთი მთავრობა, რომელიც ძალა-უფლების შენარჩუნებისათვის დაარღვევს ხალხის უფლებებს. თუ გერმანიის საზავო დელეგაციამ მოითხოვა უფლებრიობასა და სამართლიანობაზე დამყარებული ზავი და პროტესტი განაცხადა უსამართლობისა და ძალადობის გამო მას ზურგს გაუმაგრებს მთელი გერმანიის ხალხი.

გაფიცვები ბერლინში.

ბერლინის ქუჩებში და მუშათა ცენტრებში განაახლეს პროპაგანდა საერთო გაფიცვის მოსაწყობად, რომელიც მარტის 20 უნდა დაიწყოს. ვრცელდება ფურცლები, რომელიც მოითხოვს, რომ გაფიცვა მთელ გერმანიაში გავრცელდეს.

როიტერის სააგ. ცნობა.

ინგლისელები მესოპოტამიაში.

ლორდთა პალატაში ლორდმა კერზონმა ახლო აღმოსავლეთში ინგლისელთა მოქმედების მიმოხილვა წაიკითხა და სხვათა-შორის სთქვა: „2 უკანასკნელ წელში მესოპოტამიაში ჩვენ მკვიდრად მოვიკიდეთ ფეხი. იქ ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწიეთ არხების გაყვანაში, მიწად-მოქმედების გაუმჯობესებაში, სამეურნეო იარაღების შემოღებაში, ბავშვების აღზრდაში და მხარეს საერთო განვითარებაში. ამ ორ წლიწადში მეტი გავაკეთეთ იქ, ვიდრე უკანასკნელ 5 საუკუნის განმავლობაში. აგრეთვე მარჯვე მუშაობა სწარმოებდა პალესტინასა და სირიაში. გავიყვანეთ გზატკეცილები და რკინის გზები, ჭები ამოვთხარეთ, მხარეს წარმატება დაეტყო და ეღირსა ბედნიერება. ტრანსპორტის სიმცირის და სურსათის ნაკლებობის გამო სომხეთში მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან. სირია-მესოპოტამია-პალესტინაში ჩვენი მისიები ჩინებულად ასრულებენ თავის საქმეს და ამ ჟამად იქ 150,000 ლტოლვილს ვკვებავთ. მთავრობა აპირებდა ლტოლვილთა დაბრუნებას, მაგრამ გადასაზიდი საშუალება ჯერ არ მოიპოვება.

სომხეთის სახელმწიფო.

სომხეთის წარმომადგენელი პოღოს ნუბარ-ფაშა ამბობს, რომ სომხეთი მოითხოვს ტერიტორიას მცირე აზიაში მერსინიდან საქართველოს საზღვრებამდე. ამ ტერიტორიაში შედის კილიკია არზრუმის სომხური ვილაეთები, ბითლისი, ვანი, დიარბექირი, ხარპუთი და ხივასი. ხალხთა ლიგის გარანტიით და ერთ-ერთ დიდი სახელმწიფოს მფარველობით ამ ოლქებისა ან უნდა შესდგეს სომხური ეროვნული სახელმწიფო. სომხები აგრეთვე მოითხოვენ ტრაპიზონის ნავთსადგურს და ტრაპიზონის ვილაეთის ერთ ნაწილს. კავკასიაში არსებული სომხეთის რესპუბლიკა მომავალში რასაკვირველია შეადგენს ამ სახელმწიფოს ნაწილს.

ბლოკადის საკითხი.

თემთა პალატაში ბინარ ლოუმ განაცხადა, რომ ინგლისს სურს გერმანიას გადაახდევინოს რამდენიც კი შეუძლია მას. ბინარ ლოუ გამოექომაგა მილნერს, რომელზედაც ამბობდენ, რომ მას არ შეუძლია ინგლისის ინტერესების დაცვა, მან აღიარა, რომ ამ ხანად უმთავრესად საჭიროა ზავის შეკვრა და ბლოკადის მოხსნა, რომ ინგლისის ვაჭრობა და მრეწველობა [illegible] ადგენილი.

მოკავშირენი და მოხალისეთა ლაშქარი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივნის თანაშემწემ განაცხადა, რომ მოკავშირენი სამხრეთ რუსეთში მხარს უჭერენ გენ. დენიკინის მოხალისეთა ჯარს. ყაზახები და მოხალისეთა ჯარი კეთილ განწყობილებაში არიან ერთი მეორესთან.

საზავო კონფერენციაზე

საზავო კონფერენციის ყველა კომისიებს გამოუცხადეს, რომ მოხსენებები მარტის 15-თვის უნდა წარმოადგინონ. თუმცა ფიქრობენ, რომ ბელგიის ტერიტორიალურ კომისიას მოხსენება ამ დღისთვის მზად არ ექნება.

პარიზში ემზადებიან გერმანიის წარმომადგენელთა შესახვედრად. კლემანსოს, ლოიდ ჯორჯს და პრეზიდენტ ვილსონს დაევალებათ გერმანიის წარმომადგენლებს წაუკითხონ ზავის პირობები რომ შემდეგ გერმანიის წარმომადგენლები დაბრუნდებიან გერმარში და ეროვნულ ყრილობას აუწყებენ მოკავშირეთა საზავო პირობებს.

საფრანგეთის და შვეიცარიის წარმომადგენლებისაგან შემდგარი საერთაშორისო კომისია ამ ჟამად პარიზში თათბირობს და მდ. რონაზე მარსელსა, ლიონსა, ჟენევასა და ლემანის ტბის შორის ნაოსნობის საკითხს არჩევს. განსაზღვრულია მდინარის ჰიდროვლიური ძალის მაქსიმუმის გამოყენება.

ნიუ-იორკის გაზეთი „ტრიბუნა" იუწყება, რომ გერმანიის მოსალოდნელი დამშევა [illegible] მთავარ მიზეზთაგანია ზავ[illegible]კრის დაჩქარებისა. ირკვევა, რ[illegible] ამ მხრივ ამერიკის და საფრანგეთის აზრი იცვლება.

ხარკოვი, მარტის 12. ხერსონი ატამან გრიგორიევის ჯარმა დაიჭირა. მოწინააღმდეგე დაზარალდა. იმ სახლებს, სადაც ფრანგის და ბერძნების ჯარი გამაგრდა, ჩვენმა ჯარმა სროლა აუტეხა, ცეცხლი გაუჩინა და გადასწვა.

პეტროგრადი, მარტის 13. რუსეთის რევოლიუციის ორი წლის თავის აღსანიშნავად მრავალი მიტინგი გაიმართა. სახალხო განათლების კომისარიატმა ეროვნულ საკუთრებათ გამოაცხადა კომპოზიტორ რიმსკი-კორსაკოვის არქივი. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თემაზე „რუსეთის დიდი რევოლუცია" მხატვართა შორის კონკურსი დანიშნა. კონკურსი დაინიშნა აგრეთვე მოღვაწეთა საუკეთესო სურათებზე. საუკეთესო ნაწარმოებზე ხუთი საჩუქარია დანიშნული, თითეულზე 15,000 მანეთი.

ტაშკენტი. მარტის 12. თებერვლის რევოლუციის ორი წლისთვის აღსანიშნავათ გაიმართა მანიფესტაციები.

ეკატერინოდარი. მარტის 5. ყუბანში ფულის კრიზისია. ფულის ნაკლებობა დიდსაც ემჩნევა. დონის მთავრობა საკუთარ ფულის ნიშნებს უშვებს. ყუბანის მთავრობა კი იძულებულია დაესესხოს დონის მთავრობას.

ოდესა, მარ. 3. სადგურის ახლო მუშებსა და მოხალისეებს შორის შეტაკება მოხდა. მოკლულია 10 მუშა. დახოცილი მუშები დაასაფლავეს მარსელიეზის სიმღერით და წითელ დროშით. მოხალისეები შეეცადნენ მათ დაშლას, მაგრამ უნაყოფოთ.

ჟმერინკა. მარტ. 8. ვინიცაში პეტლიურას ჯარში არეულობაა. მოელიან ადგილობრივ ბოლშევიკების გამოსვლას. რკინის გზის მუშებმა პეტლიურას ჯარს ორთქლმავლები დათმობაზე სახალხო ქონების გადასატანად უარი განუცხადეს.

№-ის არმიის შტაბი. ლობიშჩენის მიმართულებით საბჭოთა ჯარი წინ მიიწევს. დავიბრუნეთ სადგური იანშპოლსკია და ბოგატინგო. ტყვეთ წამოვიყვანეთ 75.

ხარკოვი. მარ. 14. უკრაინის სახალხო კომისართა საბჭო კიევში გადადის.

კიევი. მარტის 13. თეთრ-გვარდიელების ბრბო დამარცხებულია. გაანთავისუფლეს ჟიტომირ-ვინიცას ხაზი. ოდესიდან იუწყებიან, რომ საბჭოთა ჯარის [illegible] ახლოვების გამო ბურჟუაზია [illegible] მოიცვა. დირექტორიასა და [illegible] კავშირეთა შორის მოლაპარაკება საბოლოოთ შეწყდა. ოდესიდან გაზეთები იუწყებიან, ოდესიდან საფრანგეთის ჯარის წასვლის შესახებ. ყოველ დღე გადის სამხედრო გემი ფრანგ ჯარისკაცებით დატვირთული.

კონფერენცია პრინცის კუნძულზე.

უკანასკნელ ცნობების მიხედვით პრინცის კუნძულზე კონფერენცია ჯერ არ შემდგარა.

ოდესის გაზეთები ჰსწერენ: ადგილობრივ დიპლომატიურ წრეებში სრული იმედი აქვთ, რომ პრინცის კუნძულზე შესდგება კონფერენცია. ამ კონფერენციაზე დელეგატებად იქნებიან სამხრეთ რუსეთის წარმომადგენლად რუბინშტეინი, რუდნი, ბურიშკინი, ელპატევსკი და მაკეევი. სოციალ-რევოლიუციონერთა მხრივ იქნებიან: გოცი, ტიმოფეევი და ლუნკევიჩი. კადეტებიდან: როდიჩევი და ნაბოკოვი.

6 თებერვალს იმავე გაზეთებში ვკითხულობთ: თავადი ლვოვმა მაცნობა პარიზიდან, რომ პრინცის კუნძულზე დაუშვებენ მხოლოდ მათ, ვისაც სამართ ძალა შესწევს.

10 თებერვალს „ვოზროჟდენიეს" კავშირს შემდეგი დასკვნა გამოჰყავს: „რუსეთის აღორძინების კავშირმა თანხმობა განაცხადა, რომ იგი მზადაა მიიღოს მონაწილეობა პრინცის კუნძულის კონფერენციაზე. კონფერენციაზე მიწვეულ არიან ბოლშევიკე-

---

თ გარს შემოერტყა მოწინააღმდეგეს ლავები. აზიდა მოსულმა ხერთვისე- ი უნაგირიდან, უკვე ქარი გაუტარა. გრძნო მებრძოლმა განსაცდელი და არცხენა გაჰკრა ლომის ტოტავით მუ- არადის ფარდას, ჯაჭვი ჩამოიხა. იცნეს აშოტი. ვაშას ძახილმა ცამდის უწია. მსწრაფლ მოეგო გონებას ძლე- ლი.

— ურჩევნია მამულს, როცა მოწაფე ჯობს ოსტატს!

— კიდევ ბევრი უკლია მოწაფეს, გაუსწორდეს თავის მასწავლებელს! მიუგო აშოტმა—გადაჰკოცნეს ბუმბერაზებმა ერთმანეთი.

22.

გადაავლო აშოტმა გონების თვალი შემდეგ დროთა თავის ცხოვრებისა. შიგადაშიგ თუ ჰპოვებდა ამისთანა პირად თვისთვის საამო ამბებს. თითქო მხოლოდ მოვალეობათაგან და საზოგადო ბრუნვათაგან იყო შეთხზული იგი წარსული. უყვარდა აშოტს ზრუნვა საზოგადო, ხალხის სასიკეთო, მოყვასთ სანუგეშო, სახელმწიფოს სადიდებელი. მეფე იყო მადლით ცხებული, რაინდი ქველი და ქვეყნის აღორძინება უპირველესი ოცნება იყო მისი, საზრუნავი სასიყვარულო. არცა ჰზოგავდა შრომას თუ ღვაწლს განმგებელი თავდადებული. მაგრამ ძნელი იყო მისთვისაც კი მხოლოდ სხვაზედ ფიქრი და შრომა მარად ჟამს, თუნდაც თავის ხალხზედ თუ სახელმწიფოზედ; შეუძლებელი იყო ეს. მოვალეობა ითხოვდა მისგან ესეთს დენას ცხოვრებისას, ხოლო ამ მცირე ტვირთს უფრო ამძიმებდნენ დარაჯნი ამ ვალდებულობისა. აჰკრებდნენ სასტიკნი გუშაგნი, ღვაწლს სასიამოს მით აძნელებდნენ.

ის ემძიმებოდა აშოტს, რომ გაღვიძებულ მის გრძნობას უწყინარსაც ნება არ ჰქონდა თავისებურად ასახულიყო ცხოვრების კაბადონზედ, სწორედ ისე, როგორც უხაროდა განცდის მატარებელს. გრძნობა სატრფო საგნისაკენ იწევდა, მოვალეობა წინ ეღობებოდა მას, აბრკოლებდა, უშნოდ აგუბებდა, მთლადაც აშრობდა. შეუღლება ხომ გადამწყვეტი ნაბიჯია კაცის ცხოვრებაში, ცოლის არჩევა ხომ სათუთი საქმეც ძლიერ მაფრთხილო, და აქაც აშოტის მოძრაობა არ იყო თავისუფალი, გასაქანი არა ჰქონდა მის ნებისყოფას. მას უნდა აერჩია არა ის, ვის კერძ იგი წარივლტოდა მთელის არსებით, არამედ ის, ვისაც უჩვენებდა მისი დიდებული ხარისხი და სახელმწიფო სარგებლობა, ერის კეთილყოფაზედ ზრუნვა თუ ფიქრი. მას სადედოფლოდ უსახელებდნენ ხაზართა მეფის ასულს, ბიზანტიის საიმპერატორო ოჯახის ქალწულს მშვენიერს, არაბთა ემირის უნცროს დას, რომელს ბევრი ჰმენოდა აშოტის კეთილგონებაზედ თუ საზღაპრო სიქველეზედ და უნახავად შეჰყვარებოდა თავგადაკვლით; ქართველ სასანიდთა შთამომავალ გურანდუხტს.

— მხოლოდ ესენი და ამისთანანი არიან ღირსნი შენის მეუღლობისა, საქართველოს დედოფლობისა; მხოლოდ მათ შეჰშვენით ტახტი სადედოფლო. სასარგებლოც არის ჩვენთვის ერთერთ ამ სახლთაგანთან დაკავშირება: ბიზანტია, სახალიფო, ხაზარნი ერთმანეთს ჰმეტოქობენ საქართველოში, ერთმანეთს ებრძვიან აქ ჩვენის გარნა ძლიერის ბრძოლით: ამ ბუმბერაზ საბრძანებელთა სამზღვრები საქართველოს სანაპიროებში იყრიან თავს და დიდს სიძლიერეს შესძენს საქართველოს ნიადაგი იმას, ვინც კი მათგანი ფეხს მოიკიდებს ამ თილისმა ქვეყანაში. ესე უნდა იქმნას: ესეა ზეცით განგებული!

— მაშინაც, თუ გული არ მისწევს კაცს მისკენ, ვისაც მისთვის ასახელებენ?

— მაშინაც! ცვალებადია გული კაცისა. ადვილადაც სცდება იგი თვის თავის მოტრფიალეს. კერძო ადამიანის ცხოვრებაში შეცთომა მხოლოდ მისთვის არის სავნებელი, აქ კი მთელი ხალხისთვის ავს ნაყოფს გამოიღებს იგი შეცდომა. თვითეული ნაბიჯი სახელმწიფო ყოფისა გონების გრდემლზედ უნდა იჭედებოდეს ფიქრთა უროთი, გული უნდა ამორჩილებდეს ჰაზრის ბრძანებას.

— ყოველი ჩემი ქვეშევრდომი უბედნიერესი ყოფილა ჩემზედ, თავისუფალი.

— რა არის ბედნიერება? ურამავი სურვილია ჩანერგილი ადამიანის სულში და ვინ იტყვის, რომელ ამ ნდომათაგანის ასრულება იქნება უფრო საბედისწერო მისთვის. მენდე განგებას: ცოლ-ქმრობის საქმე ზეცას კეთდება, განგებისაგან თუ ისახება.

— ადვილად იტყვის ენა: ზეცას მიანდე შენი გულისთქმა! გონება უკარნახებს გულს, ცივად მსჯელი გონება, მაგრამ განა გულს შეუძლიან უთქმელად გაჰყვეს ჰაზრების ხმასა? როგორ შეუძლიან დაწყნარდეს გული, აჰყვეს სხვისაგან ნაჩვენებ კვალსა, როდესაც ჰლელავს იგი ალთქმული, შიშობს საზარლად და ეხეთქება ქლდოვან ნაპირებს, რომ გაამოს იგი, ან დაიშალოს, ზღვავდ დაიმსხვრეს. დაიმორჩილე გული და დააწყნარე! ეს ხომ სასწაული იქნება, სასწაულთმოქმედება კი არ არის მომაკვდავთა ხელი.

— მაინც უნდა დაიმორჩილო! თუ ვერ ძალგიძს იყო მბრძანებელი შენის თავისა, ვერ შესძლო ქვეყნისაც მბრძანებლობა, ბრძნულად წარმართვა.

დაიმორჩილა აშოტი. დასთმო გულისთქმა. გაჰყვა გონებას. გულსა ჰსურდა თითონაც ეღლესასწაულნა ეს ალვსების დღე აშოტის ბედნიერებისა და ვერ შესძლო: არ გრძნობდა სიტყვისაბას, არც თუ სიხარულს; გრილი იყო იგი, შორიდან მაყურებელი.

— მაშ ვინა გსურს, გულო საწყალო, ვინ გიხარიან?

— არავინ ჯერეთ. არც ეს გურანდუხტ!

ჯერ არ განეცადა აშოტს ჩამდგარი სიყვარული, უჩრდილო ტრფობას ფრთა არ გაეკრა შესაკრებელისათვის მისთა გრძნობათა. იცოდა კი, რომ ედგებოდა ესეთი წამი.

— ადამიანის გული ერთხელ უსათუოდ აყვავდება. სიყვარულის სხივი დაჰკრავს მას გაზაფხულის მზესავით და ის აყვავებს, დაამშვენებს, აასუნელებს. თუ არა, მახინჯია იგი გული! უთხრა მას ბრძენმა.

ჯერ არ აყვავებულიყო მამულის გული, გარნა მახინჯიც არ იყო იგი. სწამდა აშოტს, ტურფა ყვავილი გადაიფურჩქნებოდა მის გრძნობათა სალაროში. მაინც მისცა ნიშანი გურანდუხტს. ხელმა მისცა იგი ნიშანი, გულს მონაწილეობა არ მიუღია ამ მოქმედებაში, ის კიდეც ეწინააღმდეგებოდა ამ მოძრაობას, იბრძოდა უღონოქმნილი. ანგარიშმა თუ მოსაზრებამ თავისი გაიტანეს. მართლად და ჭკვიანურად მოეწყო ყოველივე. ვინ იტყვის დიდებული დედოფლის აუგს, შეგნებული დედის, სარისტიან დიასახლისის ქვირს?! ღირსეული დედოფალი დიდებულის მეფისა!

ჯერ არ გასწორდა აშოტის გულს ისარი სიყვარულისა წვერ-გამახული, რომლად არ დაჰსობოდა იგი მის გრძნობას. ტრფობის მინაგვარი გრძნობა კი გამოცდილი ჰქონდა, საყვარულის რამ ანარეკლი. გაახსენდა მას პატარა ეკო! თვისი წაწალი; მისი ალერსი, მისი ღიმილი, მისი ტიტინი გულუბრყვილო, ოდეს იპოვიდნენ დროს განმარტოებისას. პატარა იად მოეჩვენა მესკუმი ქალი თვის ცხოვრების უყვავილო ბიაბანზედ. საიდუმლოდ იყო მოწყობილი მათი ერთობა, თვით ქვესკნელ მხედვარნიც ვერ იტყოდნენ დანამდვილებით, იქ იყო ისიც, ქორწილის ზეიმში, სეფე-ქალთა შორის ლხინობდა გულდაკოდილი. დიდი გმირობა კი სჭიროდა, არ დაემჩნია გულის იარა. უცხო ვერას შეატყობდა. აშოტმა იცოდა, რა ძნელი იყო ცქრიალისათვის ეს ყველასათვის სამხიარულო წამები. ჰაი, ჰაი იცოდა! მით უფრო მძიმე იყო ნარნარისათვის ტვირთის ატანა, რომ სხვა სტუმრებსავით პირვარდი უნდა ჰფენოდა იმასაც, სიხარულის ამსახველი ღიმილ-სიცილი. არ შეეძლო არ ყოფილიყო იქ, სადაც ყველა დიდკაცთა ქალები იყვნენ შეკრებილნი. აშოტმა დაინახა ეკო სწორედ მაშინ, როცა დედოფალს ხელი უპყრია და გვერდით დაისვა. ნახა აშოტმა ეკას თვალთაგან ნაკვესი ცეცხლი მისკენ ნატყორცნი. ტანჯვის ნაპერწკალი ეყოის და აკი გაუწვა კიდეც გული ქაბუკს, როგორც რომ შანთმა შორით ნასროლმა.

— შემებრალა პატარა, გული მეტკინა. რა ფასი ჰქონდა ჩემს შეცოდებას?! მონანი ვიყავით უძლეს გარემოებათა მეც და ისიც. უნდა დავმორჩილებოდით. დავმორჩილდით! გულს კი ალბად სრედ ატყვია იგი განცდილი, ჩემსა და მის გულს.

ვასილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება).

ერთიანი ბიბლიოთეკა

რას სწერენ გაზეთებში

„ერთობა“

ქალაქთა კავშირის ყრილობა. დღეს გაიხსნება თბილისში საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის ყრილობა, რომლის დღიურ წესრიგში სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხთა შორის დასმულია კითხვა მთავარ კომიტეტის არჩევისა.

ქალაქის თვითმართველობა ისე, როგორც ერობა, ორგანოა არა მარტო ადგილობრივ თვითმართველობის, არამედ მართველობისაც, ის წარმომადგენელია ცენტრალურ მთავრობის და ამიტომ უაღრესად სახელმწიფოებრივი ინსტიტუტია.

როგორც ვიცით, დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც მოწოდებულია სახელმწიფოებრივი ცხოვრება მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს, მიზნათ დაისახა მართვა გამგეობის ორგანოების გარდაქმნა, მათი განმარტივება და საქართველოს პირობებისათვის შეფარდება. ამიტომ უნდა მოხდეს სამინისტროების რიცხვის შემცირება და მოსამსახურეთა შტატის შემოკლება, რაც გამოიწვევს არა მარტო გაიაფებას მართველობის აპარატისა, არამედ მისი მუშაობის განაყოფიერებასაც.

რეორგანიზაციის ამ სისტემას უნდა დაექვემდებაროს აგრეთვე ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებიც.

მართალია, თვითმართველობას აქვს დამოუკიდებელ მოქმედების უფლება ადგილობრივ საქმეებში, მაგრამ ასეთი დამოუკიდებლობა არ უნდა სცილდებოდეს კანონის და მიზანშეწონილების ფარგლებს. მადლობა ღმერთს, ჩვენ გვყავს დემოკრატიის მიერ საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული დამფუძნებელი კრება.

სამწუხაროთ, ჩვენი ნორჩი თვითმართველობა თითქოს სულ სხვას გზას ადგება და გამარტივების ნაცვლად კიდევ უფრო რთულ ორგანიზაციებს ჰქმნის. ერობის ცენტრის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა გამოთქმული ჩვენი აზრი და დღეს გვსურს ორიოდე სიტყვით შევეხოთ ქალაქთა კავშირს.

როგორც ვიცით, ეს კავშირიც თავისი ორგანიზაციით ნაშთია ძველი ურთიერთობის: ის დაიბადა იმ დროს, როცა ცენტრალურ ბიუროკრატიულ მთავრობასა და ადგილობრივ თვითმართველობათა შორის სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა და ადგილობრივი ხალხი სცდილობდა, რაც შეიძლება მეტი უფლება გამოეგლიჯა ხელიდან ცენტრალური მთავრობისათვის.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქალაქთა კავშირის დღეს მრავალი ისეთი საქმე აბარია, რაც ცენტრის ხელში უნდა იყოს. ასეთი მისი მრავალი განყოფილება: მედიკო-სანიტარული, იურიდიული, ტეხნიკური და სხვა, რაც აუარებელ ხარჯებს და ენერგიას ითხოვს. ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ქალთა კავშირის სხვა და სხვა დარგების და მათი მოსამსახურეთა შტატის ჩამოთვლა, რადგან ეს თუ ყველამ არა, ქალაქების თვითმართველობებმა მაინც იციან. ქალაქებმა იციან აგრეთვე, რომ ქალაქთა კავშირი ვერ ახერხებს მათი ინტერესების ჯეროვნათ დაკმაყოფილებას.

საჭიროა, რომ დღევანდელმა ყრილობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, რაც შეიძლება ჩქარა გადასწყვიტოს რეორგანიზაციის საკითხი და კავშირის გამარტივებას მკვიდრი საფუძველი ჩაუყაროს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყრილობა პირნათლათ შეასრულებს იმ დიად მოვალეობას, რომელსაც მას დემოკრატია აკისრებს.

„სალი კლდე“.

საქართველოს პრეზიდენტობა.

დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე მარტის 14 ჩვენი კანონმდებლობა პირველად შეეხო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის საკითხს.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინადადებით ბ-ნი ნოე ჟორდანია, რომელსაც მიენდო მთავრობის შედგენა იმავე დროს აღიჭურვა რესპუბლიკის „უმაღლესი წარმომადგენელის“ უფლებით.

მემარცხენე პარტიებმა, ს. ფედერალისტებმა და ს. რევოლიუციონერებმა განაცხადეს, რომ ისინი საერთოდ წინააღმდეგნი არიან პრეზიდენტობისა, და ეს „უმაღლესი წარმომადგენლობა“ კი სწორედ პრეზიდენტობად მიიჩნიეს; ბ-ნმა გობეჩიამ პირდაპირ განაცხადა, დღეს პრეზიდენტს ვირჩევთ, მერე ალბად „კაროლს“ აგვარჩევინებენო!

სოციალ-დემოკრატებს არ შეეშინდათ ამისი და ბ. პ. საყვარელიძემ პირდაპირ აღიარა, რომ „უმაღლესი წარმომადგენლობა“ რესპუბლიკისა მართლაც და საპრეზიდენტო საქმეა, რომ სოციალ-დემოკრატები საერთოდ არ უფრთხიან თვით პრეზიდენტობის საკითხს, მაგრამ ჯერ არ უნდათ ეს სიტყვა „პრეზიდენტი“ სთქვან, რადგან პრეზიდენტობა სხვა და სხვანაირი შეიძლება იყოს; ამიტომ ჰკმაყოფილდებით იმის დაკანონებით, რაც აქამდისაც იყო მთავრობის თავჯდომარის ხელში, რესპუბლიკის „უმაღლესი წარმომადგენლობის“ უფლებითო...

უნდა ითქვას, რომ როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც, ქართველი სოციალ-დემოკრატია ერიდება პირდაპირ გარკვეულ ფორმულას.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ დამფუძნებელ კრებაზე პირდაპირ აირჩია ნამდვილი პრეზიდენტად ებერტი;

ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ ვერ გაჰბედა პირდაპირ ამის თქმა და დაიტოვა უკან დასახევი გზა ეგრედ წოდებულ „უპრეზიდენტო“ რესპუბლიკისაკენ.

მაგრამ ეს პირველი ნაბიჯიც კარგია... ჯერ ერთი, ამით ბოლო ეღება იმ გაურკვევლობას მთავრობისა და პარლამენტის თავმჯდომარეობის უფროს-უმცროსობის შესახებ საქართველოს წარმომადგენლობის დროს.

მეორეს მხრივ 14 მარტის დადგენილებით უსათუოდ შეიყარდება ტრადიცია პრეზიდენტობისა საქართველოს რესპუბლიკაში.

ჩვენის აზრით ეს ტრადიცია უნდა მივიდეს ნამდვილ პრეზიდენტობის დაწესებამდის.

რამდენიმე თვის წინეთ ვწერდით გაზეთ „კლდეში“, რომ საქართველოს რესპუბლიკა პრეზიდენტობის საქმეში უნდა ემსგავსოს ამერიკას, რომელიც ჩვენსავით ურდოებით იყო გარშემორტყმული დაარსების დროს; ამიტომ საქართველოს სახელმწიფოს თავი მარტო დეკორაციული წარმომადგენელი კი არ უნდა იყოს სახელმწიფოსი, არამედ ნამდვილი მმართველი; ასეა ამერიკის შტატებში, სადაც პრეზიდენტის ხელშია მთელი აღმასრულებელი ძალა, სადაც მინისტრებს პარლამენტი კი არ ირჩევს, არამედ თვით პრეზიდენტი და სადაც მინისტრები მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი და სადაც პრეზიდენტი იმავე დროს მთავარ-სარდალიც არის.

თუ მოვიგონებთ, რომ 14 მარტის კრებაზე, სწორედ სოციალ-დემოკრატი იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკა ამერიკას შეადარა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო დაბოლოს დააკანონებს ნამდვილ პრეზიდენტობას.

გლეხურ ქვეყანაში, აზიის პიჯაკთან „უპრეზიდენტო“—უთავო რესპუბლიკა ვერ გამოდგება და კონსტიტუციის საკითხების გარკვევის დროს კი, ჩვენი კანონმდებლები ყოველთვის კარგს იზამენ, თუ ამერიკის შტატების მიბაძავენ და არა რუსეთის სოვდეპიას.

მიც, რის გამო პარიზში მყოფ რუსულ კომიტეტის, ომსკის, არხანგელსკის მთავრობის მხრივ უარი იქმნა გამოცხადებული ამ კონფერენციის დასწრებაზე.

საზონოვიც იმავე აზრს ადგია პარიზში, რომ ბოლშევიკების ჩარევით უხერხული მდგომარეობა შეიქმნება.

როსტოვის გაზეთები გადმოგვცემენ პარიზიდან მოსულ ცნობებს: „ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის დიდ გაზეთებში დაბეჭდილია მაკლაკოვის გაცხადებული წერილები იმის, შესახებ რომ პრინცის კუნძულის კონფერენციაში მონაწილეობაზე უარს განაცხადებს ყოველი ჯანსაღი პარტია, რადგან ბოლშევიკების ჩარევით განუყოფელ დიდ რუსეთის აღდგენა ვერ მოხერხდება თუ მოკავშირეებს ჰსურთ რუსეთის დაუყოვნებლივი აღდგენა. უნდა მხარი დაუჭირონ კოლჩაკის და დენიკინის არმიებს“.

14 თებერვალს პრინკიპოს სხდომაზე საზონოვს და ჩაიკოვსკის სამშვიდობო კონფ. დეკლარაცია წაუყენებიათ სადაც გამოთქმულია ის აზრი, რომ რუსეთის წარმომადგენელნი დიდად აფასებენ მოკავშირეთა ცდას, რათა საშინელ ანარქიისაგან გადარჩენილ იქმნას რუსეთი. ჯერ უპირველესად უნდა მოისპოს ბოლშევიზმის დესპოტიური მმართველობა. რუსეთის მოწინავე ხალხი, საუკეთესო მამულიშვილნი სიხარულით დაუჭერენ მხარს მოკავშირეებს რუსეთის აღდგენის საკითხში. მხოლოდ მათი შეხვედრა მოწინააღმდეგე ელემენტებთან პრინცის კუნძულზე კარგს შედეგს ვერ მოიტანს. ბოლშევიკებთან შეერთება არ შესწყვეტს იმ ანარქიას, რომელიც დღეს არსებობს რუსეთში და ბოლო არ უჩანს. მათ გასთელეს საუკეთესო დემოკრატიული პრინციპები, შექმნეს უგანშინელესი ტერორი და სხვა.

დეკლარაციას ხელს აწერენ: საზონოვი და ჩაიკოვსკი.

დაუდაფნავი

(ნინო ორბელიანის ხსოვნას)

ოთხი წლის წინად ვნახე სულ პირველად...

განმარტოვებული იყო, სნეული...

თანამგრძნობლად ბრისტოლის სასტუმროს დაღვრემილი კედლები ჰყავდა...

თვით სხივებიც კი არ ათბობდნენ, ეს ის სხივები, რომელნიც ასე რიგად ეპირვებათ თვით ლოცვად დამდგარ დაუძლებულს პილიგრამებსა...

სიხარულის და ნეტარების ფარდულში აღზრდილს შუბლს დასჭკნობოდა უკვე მიცვლილ არისტოკრატის სხივოსნობა.

ტანჯვის ფიალად გარდააქმნო და ერთ დროს ნექტარით სავსე აზარფეშა, ბედმა რომ მისძღვნა...

მაგრამ ამ ყოფაშიაც იცინოდა...

იცინოდა ისე, როგორც ფორტუნას მიერ გამართულს კარნავალში მთვრალი მენადა.

გინახავთ ვოლტერის მკვირცხლად მეტყველი ბიუსტი, შუბლის ანაოჭებულ ნაკვთებში მიმალული ღიმილი, რომ დაჰკრთის?

მის ირონიას მანთეონის ბჟენიც კი შეუძრწუნებია...

არ ვიცი რად, მაგრამ იმ დროს სარეცელიდან ამოყოფილ ავადმყოფ მგოსნის მასკა ვოლტერის ამ სასტიკ მეტყველებას წარმომიდგენდა...

თვით ტუჩის აკვრაც, გალურჯებული ტუჩის ტმუკვა, მკვეთრი ისრების ტყორცნა იყო...

ის დასცინოდა ცხოვრებას, რომლის ნებიერი მოცეკვავე იყო, დღეს ასე სასტიკად მცირდებოდა ღარიბად მყოფი...

და ამ სიცილით მოგითხრობდათ შორეულს წარსულს!..

იგი ჩვენი ცხოვრების უკანასკნელ წლების ცოცხალ ისტორიის წარმოადგენდა...

ყველას იწვევდა თავის ფურცელთა გარდასაშლელად.

წარსულის შეკავება, ინტიმიურის დაცვა, მკვეთრად ალხატვია მისთანა ტოლთა მიცვალებულ სახატებისა, ერთგვარ კრძალვის ტაძარში შეგიყვანდად და იდუმალების სულის ფონზე გამოკვეთილ ქანდაკებათა წინაშე დაგაჩოქებდათ.

ყოველი ფიგურა იხატებოდა სადად, ელემენტარულ სალებავით...

ყველაზე მეტად აქ ნახვიდით აკაკის პორტრეტს...

მის სახეობის მრავალ ფეროვანი რეპროდუქცია, მართალია, უკვე შეუვითლებულ დაგეროტიპის იდილიურ შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ მით მაინც თქვენი დარბაზის პენატად გარდაჰქმნიდა, რომ მოწიწებით სათაყვანოდ დამხობილიყავით...

და რამდენი უცნობი აკაკები და მათი ნაკვესები იწერებოდა მისი სიტყვის მკვეთრი კალამით!

მაგრამ მსმენელი არვინ იყო...

არავინ, გარდა ერთი ოთახის მჭმუნვარე იდუმალებისა...

ყველა გაურბოდა... მის კერას არავინ აჩრიალებდა...

ამ მხრივ მგოსანი იყო სრულიად „მიუსაფარი“...

ალბად მისი ბედი ესა ყოფილა...

იგი მესამოცე წლების საზოგადოებრივ უდაბნო ცხოვრებისთვის ილია-აკაკის თანავარსკლავედში ამოციმციმდა, როგორც ცდომილი ვარსკვლავი, და ცდომილ ვარსკვლავისავე ჟამ მოკლობით ჩაჰქრა უკვალოდ...

მნათობნი მხოლოდ უკუნეთში მოკაშკაშებენ...

მას კი უდაბნოს გარიჟრაჟმა სულ მალე უსწრო.

თვალ ნათლივ მოხდა მის ჩაქრობა სივრცის გადასწვრივ...

ამიტომაც კოსმიურს პილიგრამს მემკვიდრედ არვინ დარჩენია...

უმემკვიდრობის ვაება კი ობლობა არის...

ობლობის აპოთეოზი სიკვდილის შემდეგაც კი...

მის საფლავს დაფნის ნატეხი შტოდა დაიტირებს, ისიც დაჭკნობის დროს,

„როს მონამვენ ცვარნი ციურნი“...

დ. კახიძე.

კორესპონდენცია

მთა ოსეთის სამილიციო რაიონი.

სულ თხუთმეტი წელიწადი იქნება რაც ცხინვალის საპოლიციო ნაწილიდან გამოჰყვეს ოსებით დასახლებული ქვეყანა დიდი და პატარა ლიახვის სათავეში მდებარე ადგილი და დაარქვეს მთა ოსეთის საპოლიციო ნაწილი რომელსაც ცალკე ბოქაული განაგებდა ს. ჯავიდან. ამ საპოლიციო ნაწილში შედიოდა და ეხლაც შედის დრონის შემდინარე პატარა ხევების სათავეში მოსახლეობა ხიზანი ოსობა. ეხლა კი ამ ქვეყანას განაგებს ოსური ნაციონალური საბჭო სხვებს კი გორის მაზრის კომისარის გამგეობაშია ამ ქვეყანაში წმინდა ოსური მოსახლეობაა თუმცა ზოგიერთი საქმის ქაღალდების მიხედვით, რომელიც ეხლა გამოიცა იქ თითქოს ცხინვალ ზევით ხეობა, სადაც ქართული მოსახლეობაა, მთა ოსეთის სახელით არის მოხსენებული, რომელიც წრევანდლამდე ცხინვალის სარაიონოს შეადგენდა.

მთა ოსეთმა ცხინვალის გამოკვების საქმეში დიდი მონაწილეობა მიიღო წარსულ წელს. უწინ, ე. ი. შარშან წინა წლამდე თუ ყოველივე სანოვაგე და სავაჭრო ცხინვალის რაიონიდან ოსებში მიეზიდებოდნენ,—შარშან მთელი წელიწადი ოსები ჩრდილოეთიდან სომხეთისკენ, ცხინვალისკენ მიეზიდებოდნენ მრავლად თეთრ ფქვილს, სიმინდს, ნავთს ამათ კავკავის მხრიდან, ყველს მატყლს თივას და კარტოფილს თვით ამავე ოსების ქვეყნიდან ჩამოაქვთ ცხინვალში, შარშან ოსებს ჩინებული მოსავალი მოუვიდათ, სამყოფზე მეტი. კარტოფილი ხომ აუარებელი მოსვლიათ, და დღეს თბილისის ბაზარზე მარტო ოსური კარტოფილილა იშოვება, ცხინვალში ახლა ფუთი კარტოფილი 50—60 მანეთი ფასობს. თვით ადგილობრივ მთაში 45—50 მანეთად იყიდება. ყველა კართოფილის ჩარჩად გადაიქცა, შეიქმნა კონკურენცია მყიდველთაგან და 20—25 მანეთიანი კარტოფილი რომელიც ამ ორი თვის წინედ იყიდებოდა ასეთ მაღალ ფასებში ასწიეს.

ახლა ამ ატიალებულ გზებზე ზიდვა ხომ მამასისხლად გაძვირდა. ფუთი 6—7 მან. გორის სადგურამდის, ახლა რკინის გზის ხარჯები და ფრახტი, მერე მედროგეების მადა და კიდევ ხშირად რკინის გზაზე პარვა „უსუშკის“—სახით, ფასს სწევს თბილისის ბაზარზე და ხელმოკლე მცხოვრებთ უძვირებს ამ უსაჭიროეს საზრდოსა. კართოფილის მაღალის ფასით წახალისებული ოსები სამერმისოდ ბევრის დათესვას აპირობენ. სამწუხაროდ მარტო ერთი ჯიშის კართოფილს სთესენ, რომელიც დაბალ ხარისხის ჯიშად ითვლება. საჭიროა ყურადღება მიაქციოს სამეურნეო საზოგადოებამ და ახალციხური ყვითელი და ბაკურიანის წითელი კართოფილის თესლი მოაწოდოს ამ გაზაფხულზე და მაშინ თბილისი უზრუნველყოფილი გახდება კართოფილით კუთხის მოსავლითა.

შარშან ზაფხულში დატაცებული სამაჩაბლო მთიდან ქართველების 1200 სული ცხვარი ნაწილობრივ ამოარჩიეს ოსების კომისრებმა, ლეო ცხოვრებოვმა და სხვამ. ნაწილი რაჭაში გადარეკილი და ნაწილი კავკავისკენ, მაგრამ პატრონებს რაღაცა შიშის გამო თავი ვერ გამოუდვიათ და ლამის სულ დაეკარგოთ ეს უკანასკნელი მათი სიმდიდრე. საჭიროა ამ საქმეში საქართველოს მთავრობა დაეხმაროს ამ ბეჩავ ქართველებს, რომ კვლავ აღარავინ გაჰბედოს ქართველი მწყემსების ასეთი დარბევა.

ოსების ეროვნულ საბჭოში დგანან კაი პატიოსანი მოთავენი და ყოველივე დახმარებას გაუწევენ და დანაკარგის პოვნაში, ოღონდ მიჰყვეს ვინმე თავგამოდებული მთავრობის მოხელე, თვით ოსების ეროვნული საბჭოს წევრები ფრიად დაინტერესებულნი არიან მტაცებლების აღმოჩენაში, რადგან შიში აქვთ რომ წრეულს აღარავინ გარეკავს აქაურ საძოვარში ცხვარსა, მოტაცების შიშით.

ა—დ.

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან— ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 სამგზავრო ქუთაისამდე.
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 სამგზავრო ბორჯომამდე.
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 საფოსტო ბაქომდე.
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 სამგზავრო განჯამდე:
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსისკენ—ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან—თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 ქუთაისიდან:
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 ბორჯომიდან
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბაქოდან

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.

ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 თბილისიდან დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1

7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის

ბეგოლიანი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეზხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

ე. ა. მოსსე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—17

წიგნების საკინძ-საკაზმავი სახელოსნო

ვლადიმერ შატბერაშვილისა

13 წლის განმავლობაში პრაქტიკული ცოდნის მიღების შემდეგ გავხსენი საკუთარი სახელოსნო, სადაც ვღებულობ ყოველგვარ საქმეს, რომლებსაც ვასრულებ დაპირებისამებრ

ზომიერ ფასებში

ვღებულობ კანტორის და ბლანკის წიგნებს, უდებს, ბროშურებს, ხურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს და სხ. და სხ. საკინძ-საკაზმავ საგნებს.

მისამართი: სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში დრ. მსახიობთა კავშირის გვერდით.

24—114 25 პატივისცემით ვლ. შატბერაშვილი.

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული

გ ა ზ ე თ ი

„საქართველო“

1919 წ. წელიწადი მეხუთე 1919 წ.

გაზეთი წლის დამლევამდე ღირს 135 მ ა ნ ე თ ი.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5,) (ქართული ქარვასლა).
პოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76.
ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.